ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 19 ნოემბერი, 2018 №274 (7819) ფასი: 60 თეთრი

მიხეილ გიორგაძე ყვარელთან ავარიაში მოყვა

გვ.7

მას 12 ნეკნი აქვს ჩამტვრეული, მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ სტაბილური

„პარლამენტი თვითლიკვიდაციასა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას გეგმავს“

„ნაციონალების დროს ბიზნესის მთავარი დამრეკეტებელი ოთარ ფარცხალაძე იყო“

გვ.2

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოცნება“ სისხლიანი 9 წლის შემოქმედებით არის დაკომპლექტებული“

სოსო ცინცაძე: „28 ნოემბერი საქართველოსთვის შეიძლება წყალგამყოფი აღმოჩნდეს“

გვ.4

„გამსახურდიას არჩევნების შემდეგ, სიმართლე გითხრათ, ასეთი დაძაბული არჩევნები არც კი მახსოვს. ასეთი დაძაბული არ ყოფილა 2012 წლის არჩევნებიც კი, როდესაც ერთი ხელისუფლება მიდიოდა და ახალი მოდიოდა“

ლია მუხაშავრია: „ჰააგამ პასუხისგებაში უნდა მისცეს პუტინი, მედვედევი და სააკაშვილი“

გვ.3

ემზარ კვიციანი: „ნაციონალური მოძრაობა იგორ გიორგაძემ შექმნა“

გვ.4

სამართალი

სუსის დაკავებულმა მაღალჩინოსანმა შეიძლება პროკურატურის მაღალჩინოსნები ამხილოს



გვ.7

ხათუნა რაზმაძე: „იაგო ნებიერიძე ჩემი შვილის გატაცებასთან კავშირშია. ის 20.000 დოლარს ითხოვდა“

გვ.7

გოგლა ჟვანია: „არ უნდათ გახმაურებული მკვლელობის გამოძიება და ყველაფრისთვის წერტილის დასმა“

გვ.5

ეკონომიკა

გვ.6

„იპოთეკის კრედიტის პროცენტი შემცირდება ორჯერ, დოლარში აღებული სესხი დაბრუნდება 1.65 კურსით“ — სააკაშვილი ახალი ბანკების შემოყვანას აანონსებს

გვ.5

მაია ცქიტიშვილი: „ბიუჯეტს მოსახლეობის საჭიროებებზე დაყრდნობით ვგეგმავთ“

ბიტკოინის ფასი 1 დღეში თითქმის 1.000 დოლარით დაეცა

გვ.6

ISSN 1987-9385

5 თომას დე ვაალი: „ბიძინა ივანიშვილი არაფორმალური მეფეა“

3 ოჯახს 180.000 ლარი გამოსძალეს

8 პუტინი ომისთვის ემზადება?!

7 ხონში ქმარი 6 თვის ორსულ ცოლს სისტემატურად სცემდა

„პარლამენტი თვითლიკვიდაციასა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას გეგმავს“

შორენა მარსაგიშვილი

ვისი სურათები აკლია სააკაშვილის საწინააღმდეგოდ გამოფენილ ბილბორდებს, როგორ დაეცა „ოცნება“ კარტოფილამდე, რა პრობლემებს შეუქმნის ივანიშვილს თავისივე გუნდი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

– თბილისში გამოჩნდა სააკაშვილის საწინააღმდეგო ბილბორდები. როგორც წესი, ასეთ პლაკატებს ოპოზიცია აკრავს ხოლმე ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში პირიქითაა და თქვენ, როგორც ნაციონალებთან დაახლოებული პირი, რას გვეტყვით – ისევ ნაცები მართავენ ქვეყანას?

– ძალიან სასაცილო ვითარებაა ამ მხრივ. მეშვიდე წელია, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და ისევ ნაციონალების გადადგომას ითხოვს. სხვა გზა მათ უბრალოდ არ აქვთ. ხალხს ვერ ეუბნებიან, რა გააკეთეს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ვერ გვეუბნებიან, რა შეიცვალა უკეთესობისკენ. ასეთ დროს საუკეთესო გამოსავალია, მოითხოვო 5 წლის წინ წასული სააკაშვილის გადადგომა.

მმართველი გუნდისგან ჩვენ უამრავი დაპირება გვახსოვს, 1000 საწარმოდან დაწყებული, უფასო ფულით დამთავრებული, მაგრამ არცერთი მათგანი არ შესრულებულა.

ამ შეუსრულებელი დაპირებებისა თუ კიდევ უამრავი მიზეზის გამო საპრეზიდენტო არჩევნებში ხალხმა უარი უთხრა „ოცნებას“. იმის ნაცვლად, რომ შეცდომები გაეანალიზებინათ, გამოვიდნენ და გვითხრეს – „არა მიშას“, „არა 9 წელს“.

არადა, იმ 9 წლის შემოქმედები და უკანონო დავალებების შემსრულებლები „ოცნების“ სახელით გაიყვანეს პარლამენტში. ასეთი ხალხი მრავლად არის სამინისტროებში, აღარაფერს ვამბობ სსიპებსა და აიპებზე.

კოლექტიური მურუსიძეებით, ჩინჩალაძეებითა და ზარდიაშვილებით არის დაკომპლექტებული მმართველი პარტია. სისხლიანი 9 წლის შემოქმედები გვეუბნებიან, რომ თურმე გაერთიანებული ოპოზიციის მოგება მოიტანს უფრო მეტ ცუდს, ვიდრე დღეს ხდება.

ხშირად გვახსენებენ იმასაც, რომ წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა ბიზნესის დარეკეტება. ვადასტურებ, რომ მართლაც ჰქონდა ასეთ ფაქტებს ადგილი, მაგრამ „ოცნებას“ ამ თემაზე საუბრისას ავიწყდება ერთი მთავარი – ბიზნესის მთავარი დამრეკეტებელი იყო ოთარ ფარცხალაძე.

– ოთარ ფარცხალაძე მიშას დროს არეკეტებდა ბიზნესს?

– დიახ. მაშინ მას საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა ფინანსურ პოლიციაში. ფარცხალაძე დღესაც მთავარი რეკეტია. ყველა ვხედავთ, როგორ ჩაჰყავს მინისტრები და რიგითი მოქალაქეები სარდაფში და როგორ ურჩევს იქ მათ საქმეებს.

ქვეყანაში გამოჩნდა ბანდფორმირებები. ასეთი ფორმირებები საქართველოში შევარდნაძის დროს მოქმედებდნენ. მაშინ სხვადასხვა დაჯგუფებები იარაღით არჩევდნენ საქმეებს. ყველაფერი ცუდი, რაც კი შევარდნაძესა და ნაციონალებს ჰქონდათ, „ოცნებამ“ გადაიღო, გააერთიანა და ასე მართავს ქვეყანას.

ხალხთან მისასვლელი პირი რომ აღარ აქვთ, იმ დონეზე დავიდნენ, რომ 5 კილოგრამ კარტოფილს იძლევიან ერთ ხმაში.

– ზემოთ თქვით, დაპირებები არ შეასრულესო, მაგრამ კარტოფილის ამბავში, მგონი, დაიწყეს დანაპირების შესრულება. 2012 წელს ბიძინა ხალხს დაჰპირდა, ელიტური კარტოფილის ჯიში გამოვიყვანეთ და დაგირიგებთო. იქნებ მართლა ელიტური კარტოფილი რიგდება?

– 6 წლის თავზე მართლა ერთადერთი დაპირება შესრულდა – „ოცნება“ 2012 წელს დაპირებულ კარტოფილს არიგებს ახლა. არც ეს

„ნაციონალების დროს ბიზნესის მთავარი დამრეკეტებელი ოთარ ფარცხალაძე იყო“

დანაპირები შესრულდა სრულად. ბიძინა ხალხს დაჰპირდა, ელიტურ კარტოფილს უფასოდ დაგირიგებთო და ახლა საარჩევნო ხმებზე იცვლება კარტოფილი.

კარტოფილით ნაყიდი ხმებით უნდა ძალაუფლების შენარჩუნება, მაგრამ ამაოდ ჩაივლის ეს თავგამოდება – ისევე, როგორც პირველ ტურში უთხრა ხალხმა „ოცნებას“ უარი, მეორე ტურშიც იგივე მოხდება.

– დარწმუნებული ხართ, რომ მეორე ტურშიც იგივე იქნება, რაც პირველ ტურში იყო?

– დარწმუნებული ვარ. ამ რწმენას ერთი მარტივი მიზეზი მაძლევს – დიდი ხნის განმავლობაში ვამბობდით, რომ არაფორმალური მმართველობა ქვეყანას დაღუპავდა, ვამბობდით, რომ „ოცნება“ გაივსო ისეთი ადამიანებით, რომლებიც ნაციონალების დროს ცუდი საქმეების კეთებაში იყვნენ შემჩნეული. ვურჩევდით „ოცნებას“, მოეშორებინათ ეს ხალხი. ივანიშვილმა ჩვენს ჯიბრზე დამნაშავეები დააწინაურა.

ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ ამას უნდა დააბრალონ ის სირთულეები, რომლებიც დღეს მათ წინაშეა. ამ მდგომარეობაში თავად ჩაიგდეს თავი.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ხელისუფლება ამბობდა, რომ მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს. იმასაც კი ამბობდნენ, რომ არ იქნებოდა ტრაგედია, თუ ამ არჩევნებს ოპოზიცია მოიგებდა.

როგორც კი ეს არჩევნები მოახლოვდა, მთელი „ოცნება“ დაირაზმა და ყველა ხერხით ცდილობს ვითომ დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის გაყვანას.

ამ საპრეზიდენტო არჩევნებს ბიძინა ივანიშვილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან აიგივებს. იმდენად მნიშვნელოვანია ამ არჩევნების მოგება, რომ პირადად ჩაერთო საარჩევნო კამპანიაში. მეორე ტურის წინ სალომე ზურაბიშვილის პლაკატებზე მისი სურათები გადააკრეს.

– პრეზიდენტს უფლებები პრაქტიკულად აღარ აქვს. რატომ ცდილობს „ოცნება“ ასე გამწარებით ამ პოსტის დაკავებას?

– ძალიან სწორად იქცევიან, ამ პოსტისთვის ასე გამეტებით რომ იბრძვიან. მათ ძალიან კარგად იციან, რომ მათი ძალაუფლების შენარჩუნება გადის სალომეს გაპრეზიდენტებაზე.

ეს არჩევნები „ოცნების“ კანდიდატმა თუ წააგო, ეს ნიშნავს იმას, რომ ხალხს არც ბიძინა და არც მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი არ სჭირდება. ამის შემდეგ „ქართული ოცნება“, უბრალოდ, დასრულდება.

– დასრულდება ვითომ?

– რა თქმა უნდა. მოსახლეობა როცა მათ არჩევნებზე უარს ეტყვის, „ოცნების“ პარტიული სტრუქტურა თავისით ჩამოიშლება.

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, როგორც კი რყევები დაიწყება, ივანიშვილს პირველები ის დეპუტატები უღალატებენ, რომლებიც ახლა მის ქება-დიდებაში არიან.

– საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები გყავთ მხედველობაში?

– დიახ. როგორც კი მათი კანდიდატი წააგებს არჩევნებს, პირველები ეგენი აქცევენ ზურგს ივანიშვილს, გამოაცხადებენ პარლამენტის თვითლიკვიდაციას და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავენ.

– დარწმუნებული ხართ, რომ ბიძინას წინააღმდეგ წავლენ?

– როდესაც საკითხი ასე დადგება, ხალხი თუ ბიძინა, არჩევანს, რა თქმა უნდა, ხალხის სასარგებლოდ გააკეთებენ. „ოცნებაშიც“ კი ვერავინ გაბედავს ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას.

ხალხის წინააღმდეგ ჯერ არავის არაფერი მოუგია. ეს კარგად იცის თავად „ოცნების“ ლიდერმაც. ამიტომაც ცდილობს თავის გუნდთან ერთად, რომ როგორმე მოიპოვოს არჩევნებზე ხმები. მმართველი პარტიის მთელი ძალისხმევა იმისკენ არის მიმართული, რომ როგორმე ეს არჩევნები გადააგორონ.

ხელისუფლებას თუ ცოტა ხნით მაინც კიდევ უნდა ძალაუფლების შენარჩუნება, მაშინ უარი უნდა თქვას არჩევნების გაყალბებაზე – თუ პრეზიდენტის მანდატს არჩევნების გაყალბების გზით მოიპოვებს, მაშინ ის ამომრჩეველი, რომელიც „ოცნების“ წინააღმდეგია, აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს.

მინდა შევახსენო მმართველ პარტიას, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მის წინააღმდეგ ხმა მილიონმა ამომრჩეველმა მისცა.

ამ მილიონ მოქალაქეს ოპოზიცია არ დასჭირდება საიმისოდ, რომ ქუჩაში გამოვიდეს. პროტესტი ისედაც დაწყებულია. ყველამ ვნახეთ, რომ „ოცნების“ რამდენიმე დახურული თათბირი საზოგადოების პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა.

ეს აქციები თავად ხალხმა მოაწყო. ამაში არც პოლიტიკურ პარტიებს და არც არასამთავრობო ორგანიზაციებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ხალხი უკვე ხვდება, რომ თავად უნდა იბრძოლოს უფლებების დასაცავად. ეს ხალხი ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებას აღარ აპატიებს.

– საკმაოდ ბევრი რამე აპატია ხალხმა ხელისუფლებას. დარწმუნებული ხართ, რომ არჩევნების გაყალბებას არ აპატიებს?

– ახლა ვითარება შეიცვალა. ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, ხალხი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს. ყველამ დაინახა, რომ ის საბიუჯეტო თანხები, რომლებიც სახელმწიფოსა და ხალხს უნდა მოხმარდეს, „ოცნების“ ჩინოსნებს მიაქვთ სახლში.

პირველ ტურში დამარცხებულებმა დააანონონსეს, კარდაკარ დავივლით და ვნახავთ, ხალხს რა უჭირსო. მას შემდეგ ლამის სამი კვირა გავიდა და არავისთან სახლში არ მისულან.

– ეგენი მოსახლეობასთანაც აპირებდნენ ჩახუტებას, თქვეს, ხალხს მოვეფერებითო. თქვენ გარშემო თუ მოეფერნენ ვინმეს?

– თავად კი ჩაეხუტებოდნენ, მაგრამ ვინ მიუშვა ჩასახუტებლად. სადაც კი მივიდნენ, ყველგან ქვები დაუშინეს. ზოგან კეტებით გამოეკიდა მეოცნებეებს ხალხი.

– კეტებით გამოკიდება რაღა იყო, იქნებ რა ჰქონდათ სათქმელი?

– აქაც დასცინეს ხალხს. ჯიპებიდან არც გადმოსულან, ისე ეკითხებოდნენ, რა გიჭირთო. მაგიტომაც მიიღეს პასუხად კეტი და ქვა.

აი, ეს გახლავთ „ოცნების“ რეალური სახე, რომელიც გაურკვეველი წარმოშობის კრიმინალებით აპირებს არჩევნების ჩატარებას. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ სუსის მაღალჩინოსნები და კრიმინალური ავტორიტეტები დღეს ერთ მხარეს დგანან.

ყველაფერზე მიდიან, რომ სალომე ზურაბიშვილს მოაგებინონ არჩევნები. ბევრს ცდილობენ, მაგრამ ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოცნება“ სისხლიანი 9 წლის შემოქმედებით არის დაკომპლექტებული“

მაინც ვერ გაბედავენ.

ხალხი მმართველ პარტიას მეორე ტურშიც იმავე განაჩენს გამოუტანს, რაც პირველ ტურში გამოუტანა. ცალკე საუბრის თემაა, თუ რატომ დანიშნეს მეორე ტური შუა კვირაში, სამუშაო დღეს.

– არჩევნებს სამუშაო დღეებში მიხეილ სააკაშვილიც ნიშნავდა.

– ასეთი რამ ადრეც მომხდარა. მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც შუა კვირაში დანიშნა. ამაზე მაშინ ხალხმა, პოლიტიკოსებმა და სამოქალაქო სექტორმა პროტესტი გამოხატეს. ამიტომ სააკაშვილმა თარიღი შეცვალა და არჩევნები კვირა დღეს ჩატარდა. არჩევნები, წესით, არასამუშაო დღეებში უნდა ჩატარდეს, რათა ყველას მიეცეს საშუალება, გაიკეთოს თავისი არჩევანი.

არჩევნების შუა კვირაში დანიშვნის გამო მაშინ ივანიშვილი ბევრს ლანძღავდა სააკაშვილს. ახლა თავად იმეორებს იმავეს. აქამდე ხომ ამბობდა, რომ მიშას ფეხებზე ეკიდა მოქალაქეები, ახლა თავად დაიკიდა ფეხებზე ხალხი.

მისი წყალობით ემიგრანტების დიდი ნაწილი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. არადა, ეს ის ხალხია, ვის კისერზეც დღეს ჩვენი ეკონომიკა დგას. ისეთ დღეში ჩააგდო „ოცნებამ“ ქვეყანა, რომ ემიგრანტების გამოგზავნილი ფულით ცოცხლობს ჩვენი ეკონომიკა.

აი, ასეთ ადამიანებს უკრძალავს ივანიშვილი არჩევნებში მონაწილეობას. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ ემიგრანტები მის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლო არჩევანს არ გააკეთებენ.

ემიგრანტების დიდი ნაწილი მაინც აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. ისინი ამბობენ, სხვა სამსახურს ვიშოვით, მაგრამ სხვა სამშობლოს ვერაო.

– მოდით, „ოცნების“ ახალ ბილბორდებზეც ვისაუბროთ, სადაც ხელისუფლება მიშას გმობს. ამ პლაკატებზე სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები არიან გამოსახული. ამან რა შედეგი უნდა მოიტანოს, ხალხს ნაციონალების დაბრუნების შეეშინდება?

– ამ პლაკატებით საკუთარი უსუსურობის გადაფარვა უნდათ. თქვენი აზრით, ხალხს პირველი ტურის წინ არ ახსოვდა ის 9 წელი? გინდა პლაკატი დაკიდონ და გინდა კლიპი გადაიღონ, ხალხი ისევ უარს ეტყვის მათ.

სამართლიანობისთვის ამ პლაკატებზე მიშასთან ერთად ბიძინა და კალაძეც უნდა იყვნენ გამოსახული. დედაქალაქის მერი 7 ნოემბრის დარბევასაც კი „აპრავებდა“, ისე ერთგულებდა მიშას. ივანიშვილი კი იმ 9 წლის განმავლობაში ყოფილი ხელისუფლების მთავარი დამფინანსებელი იყო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლია მუხაშავრია: „ჰაააგამ პასუხისგებაში უნდა მისცეს პუტინი, მედვედევი და სააკაშვილი“

იაგო ნაცვლიშვილი

„რუსეთის მხრიდან ეთნიკური წმენდა უდავოდ მოხდა. ამაზე ჩვენმა გამოძიებამ არაფერი გააკეთა“

რას იძიებს 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე ჰააგის ტრიბუნალი, რატომ დაიწყო გამოძიება ჰააგამ, რატომ არ მოხდა ფაქტების გამოძიება ეროვნულ დონეზე და მოუწევს თუ არა პუტინის, მედვედევისა და სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემა ჰააგის ტრიბუნალს? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა იურისტ ლია მუხაშავრიას, რომელიც აგვისტოს ომის თემაზე გარკვეულ საქმეებში თავადაც იყო ჩართული.

– ქალბატონო ლია, რას იძიებს ჰააგის სასამართლო? აგვისტოს ომის დროს ჩადენილ დანაშაულებს ქვეყნების მეთაურების მხრიდან თუ რიგითი სამხედრო პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებსაც?

– ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც ჰააგის ტრიბუნალსაც უწოდებენ ხოლმე, შეიქმნა რომის სტატუტის საფუძველზე, რომელიც გახლავთ საერთაშორისო ხელშეკრულება. ის ქვეყნები, რომლებიც მიუერთდნენ რომის სტატუტს, აღიარებენ, რომ თუ 4 ტიპის დანაშაული, როგორებიცაა გენოციდი, ეთნიკური წმენდა, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ და აგრესია, მოხდება მათ ტერიტორიაზე, ისინი იღებენ ვალდებულებას, რომ თვითონ გამოიძიებენ ამ საქმეებს და მერე შეუძლიათ გადასცენ ჰააგის ტრიბუნალს, ან თუ ვერ გამოიძიებენ, ან არ აქვთ ამის პოლიტიკური ნება, მაშინ ერთვება საერთაშორისო მექანიზმი, რომლის იურისდიქციაც გულისხმობს ამ 4 უმძიმესი სახის დანაშაულის გამოძიებას და შემდეგ ჰააგის სასამართლოში ამის განხილვას.

ჰააგის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გულისხმობს პერსონალურ პასუხისმგებლობას, ანუ კონკრეტული დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემას. გამოძიება მიმდინარეობს უშუალოდ სასამართლო ზედამხედველობით და გამოძიების დასრულების შემდეგ საქმე გადაეცემა სასამართლოს.

ანუ პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს და განსასჯელის სკამზე შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც მტკიცებულებებით დაუდასტურდება, რომ მან ჩაიდინა ამ ოთხი დანაშაულიდან ერთ-ერთი მაინც.

– ვის მიმართ შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი აგვისტოს ომთან დაკავშირებით?

– მე რასაც ვისმენ, აშკარა სპეკულაციაა ორივე მხრიდან. ვერც ამ ხელისუფლებამ და ვერც წინა ხელისუფლებამ აგვისტოს ომის დროს ჩადენილი ფაქტები ვერ გამოიძია. ჰააგის სასამართლოს გამოძიებამ უნდა მოაგროვოს მტკიცებულებები. თუკი საკმარისი მტკიცებულებები მოგროვდა, მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის დამნაშავე პირი, რიგითი სამხედროა, რიგითი სამოქალაქო პირი, რომელიც შეიარაღებული მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში თუ ქვეყნის პირველი პირია. ამ სასამართლოს აქვს გამოცდილება, როდესაც პასუხისმგებლობაში მიუცია პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები თუ სხვა.

წინასწარ იმის თქმა, რომ სამხედროების მიმართ მოხდება პასუხისმგებლობის დაკისრება, ან ის, რომ სააკაშვილზე მოხდება მსჯავრის დადება, არასწორია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც აპელირებს ორივე მხარე, არის ის, რომ ძალიან დიდხანს საქართველოს მთავრობა ამბობდა, რომ ისინი გამოიძიებდნენ ომის დანაშაულებს. ამიტომ 2016 წლამდე ჰააგის ტრიბუნალი აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს არ ახორციელებდა.

– ეს არასწორი იყო?

– 2008 წლის აგვისტოს ომის დროს უმძიმესი დანაშაულები მოხდა ჩვენი მოქალაქეების მიმართ. მშვიდობიანი მოქალაქეების სიკვდილი, დაჭრა, ქონების განადგურება, იყო სექსუალური ხასიათის დანაშაულები. ეთნიკური წმენდა უდავოდ მოხდა, ხოლო ამაზე ჩვენმა გამოძიებამ არაფერი გააკეთა.

გახმაურდა ჩვენი ორგანიზაციის მიერ გასაჩივრებული საქმე ევროსასამართლოში, როდესაც ერთი ქალის მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშებში 2 ათეული შემთხვევები იყო, ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მსხვერპლმა განაცხადა თანხმობა, გაესაჩივრებინა ჩადენილი დანაშაული.

ჩვენ მაშინვე მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, იმ საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელს, ვისაც ამ საქმეების გამოძიება ევალებოდა. ვუთხარით, რომ ძალადობის მსხვერპლი თანახმაა ჩვენების მისაცემად, ოღონდ დაიცავით საერთაშორისო სამართლით დადგენილი მოთხოვნები, რომელიც არსებობს ამ კატეგორიის დანაშაულების მიმართ, რაც გულისხმობს, კონფიდენციალობას, მათი დაკითხვებით არშეწუხებას, სამედიცინო მტკიცებულებებზე გამოძიების წარმოებას, რომელიც ხელთ გვქონდა, რაც ძალიან კვალიფიციურად შეასრულა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ.

ამის მიუხედავად, მათ გარანტიები არ მოგვცეს, რომ ასე იმოქმედებდნენ. როცა არ გვქონდა გარანტიები, რომ ამ ადამიანის განმეორებითი ტრავმირება არ მოხდებოდა, ბუნებრივია, მათ არ მივეცით ამ ადამიანის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, ყველა ინსტანცია ამოვწურეთ, სანამ ევროსასამართლოს მივმართავდით.

ეს საქმე ჰააგის ტრიბუნალის ყურადღების ცენტრშიც მოხვდება, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი დანაშაული აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული და დამნაშავეები დასჯილი.

– ეს როდის ხდებოდა, ახლანდელი თუ წინა ხელისუფლების პირობებში?

– ეს ხდებოდა 2009 წელს, წინა ხელისუფლების დროს. ჩვენ არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას მივმართეთ, არამედ რუსეთის ფედერაციასაც. იმიტომ, რომ რუსეთის ფედერაციის მხარეს იყო ეს დანაშაულები ჩადენილი. რუსეთის მოქალაქეებმა და რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩაიდინეს ეს დანაშაული. ამიტომ რუსეთია პასუხისმგებელი ამაზე.

მეორე მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოება, მათი ევაკუაცია, მათი ამგვარი მტრული თავდასხმისაგან დაცვა ვერ შეძლო საქართველოს ხელისუფლებამ, ხოლო ჩადენილი დანაშაულის შემდეგ არ მოახდინა გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა, ამაზე პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობაა.

მე არ მეშინია და ვისაც უნდა, მოღალატედ გამომაცხადოს, მაგრამ ჩვენს საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოპასუხე არის ორივე მთავრობა.

– რუსეთის მხრიდან გამოხმაურება არ ყოფილა?

– იყო გამოხმაურება. მოდიოდა წერილები და გვთხოვდნენ, ჩავსულიყავით, წაგვეყვანა ჩვენი დაზარალებული მოქალაქეები და იქ ისინი ჩაატარებდნენ საგამოძიებო მოქმედებებს. ჩვენ წინასწარ მოვითხოვეთ კონკრეტულ კითხვებზე პასუხები, რაც არაერთხელ გავუგზავნეთ და მერე გადავწყვეტთ, ჩამოვალთ თუ არაო, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მოგვდიოდა – ჩამოდით, ჩვენ აგინაზღაურებთ ყველა ხარჯს და ჩავატარებთ საგამოძიებო მოქმედებებსო. კონკრეტულად რა ღონისძიებები იყო დაგეგმილი, იყვნენ თუ არა ეს ადამიანები დაზარალებულად ცნობილი, ან მომავალში ცნობდნენ თუ არა დაზარალებულებად, რა სტატუსით მივიღებდით მათი ადვოკატები საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას და პროცესუალური უფლებები გვექნებოდა თუ არა, რა მოჰყვებოდა ამ საგამოძიებო მოქმედებებს ან უკვე რა სამუშაო გვქონდა შესრულებული, ეს უნდა გვცოდნოდა.

რადგან ამ კითხვებზე პასუხები ვერ მივიღეთ, ამიტომ ვაცნობეთ ევროსასამართლოს, რომ რუსეთის მხრიდან გამოგზავნილი წერილები არ წარმოადგენდა რეალურ განზრახვას, რომ მართლაც ჩაეტარებინათ გამოძიება. მხოლოდ ამის შემდეგ მივმართეთ ევროსასამართლოს და ამის შემდეგ გავასაჩივრეთ ჩვენი საქმე, რაც ყველა სხვა რესურსი ამოვწურეთ.

– თეა წულუკიანი აცხადებდა 2013 წელს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხია აგვისტოს ომზე საქმის გამოძიება. შემდეგ კი ჰააგის ტრიბუნალს მიმართა, რომ გამოძიება მას ეწარმოებინა. რას უკავშირებთ პოზიციის შეცვლას?

– მას არ მიუმართავს. ამ წლების განმავლობაში ჰააგის პროკურორები პერიოდულად ჩამოდიოდნენ საქართველოში, ხვდებოდნენ მთავარ პროკურორს, იუსტიციის მინისტრს, სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელებს და აინტერესებდათ, როგორ მიმდინერეობდა გამოძიება.

მათ მრავალჯერ მოისმინეს დაპირება, რომ საქართველო გამოიძიებდა, მაგრამ შედეგები ვერ დაინახეს. ამას არ სჭირდებოდა წულუკიანის მიმართვა. კბილაშვილიც არწმუნებდა, ჩვენ გამოვიძიებთო, მაგრამ ისე წავიდა, რომ არაფერიც არ გამოუძიებია.

ამის შემდეგ ახალი პროკურორი ჩამოვიდა, გაეცნო ადგილზე გამოძიების მიმდინარეობას და ჩათვალა, რომ ეს არ იყო საკმარისი, არ შეესაბამებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და ამის შემდეგ დაიწყეს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები.

– სააკაშვილმა თქვა, რომ წულუკიანი ასრულებს რუსეთის გეგმას და მედვედევი დაემუქრა საქართველოს, რომ ჩვენი სამხედრო პირები იქნებოდნენ დასჯილებიო. რამდენად აქვს ასეთი განცხადებების გაკეთების საფუძველი მესამე პრეზიდენტს?

– არ ვიცი, რაზე დაყრდნობით აკეთებს ასეთ განცხადებებს. როცა მე ამ საქმეებზე ვმუშაობდი და დავდიოდი საზღვრისპირა სოფლებში, ვხვდებოდი ადამიანებს, რომლებმაც საკუთარ თავზე გადაიტანეს ომის საშინელებები, დაეღუპათ ოჯახის წევრები, გაუნადგურდათ ქონება და ა.შ. განსაკუთრებით ქონების ნაწილში საქართველოს სასამართლოშიც შევიტანეთ სარჩელი და იმაზე რატომ არ ლაპარაკობს წულუკიანი, რომ არც ერთმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ჩვენი მოთხოვნები?!

აქედან გამომდინარე, მე პირადად მაქვს დიდი სურვილი, რომ არა მხოლოდ რუსეთის მხარეს დაისაჯონ ადამიანები, იქნებიან სამხედრო პირები თუ პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომელთა ბრალეულობითაც მოხდა ის, რაც მოხდა. საქართველოს პრეზიდენტიც უნდა მიეცეს პასუხისგებაში იმიტომ, რომ პრეზიდენტს ფიცი აქვს დადებული, რომ ის არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტი.

მე დავკითხე ადამიანები, რომლებიც მერეთში, კოშკაში, გუგუთიანთკარში ცხოვრობდნენ და პირდაპირ ეთერში სააკაშვილი ამბობდა ტყუილს, ჩვენ ახლა მივდივართ ცხინვალის მიმართულებითო და ამ ხალხმა თავისი თვალით დაინახა, რომ მეზობელი სოფელი იწვოდა, ვერ მოასწრო გაქცევა და აღმოჩნდა ტყვე.

იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს მეთაურს გაეყვანა ეს ადამიანები ფრონტის ხაზიდან, ატყუებდა, რომ ამ ადამიანებს თვითონ მაინც ეშველათ საკუთარი თავისთვის. ეს ჩანაწერები არც ერთმა ქართულმა არხმა არ მოგვცა, მაგრამ ეს ჩანაწერები არსებობს „სი-ენ-ენ“-ის „ბი-ბი-სის“ და სხვა საერთაშორისო ტელევიზიებში.

დარწმუნებული ვარ, ამ ინფორმაციის ამოღება ჰააგის ტრიბუნალს არ გაუჭირდება და დიდი ხანია, ეს მათ აქვთ. მათ შეუძლიათ, წუთობრივად შეამოწმონ, სად გადიოდა ფრონტის ხაზი და რას ამბობდა იმ დროს საქართველოს პრეზიდენტი.

– ანუ ვარაუდობთ, რომ სააკაშვილს პასუხისგებაში მისცემენ?

– არა მარტო ვვარაუდობ, არამედ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს იქნება სამართლიანი. ვფიქრობ, ჰააგის ტრიბუნალის გაჭიანურება სწორედ იმის ბრალია, რომ თუკი აქეთ გამოკვეთილია სააკაშვილის პასუხისმგებლობა, იქით რიგითი გენერალი ვერ დაისჯება. რეალურად უნდა დაისაჯოს პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირი. ასევე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სამყაროს რუსული აგრესიის შესაკავებლად და ასალაგმად იმაზე უკეთესი სამართლებრივი მექანიზმი არ გააჩნია, ვიდრე ჰააგის ტრიბუნალია. უნდა დაისაჯოს რუსეთის ხელმძღვანელობა და ეს იქნება კარგი პრევენცია, რომ რუსეთმა აღარ გააგრძელოს თავისი აგრესია ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

– რუსეთი რომ არ არის რომის სტატუტის წევრი, მაინც დაისჯება?

– ამას არ აქვს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში. დანაშაული ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე და ტერიტორიული პრინციპით არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ჩაიდენს დანაშაულს. აქ სახელმწიფო კი არ აგებს პასუხს, არამედ კონკრეტული ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი თანამდებობისა და მდგომარეობისა, ანუ ყველა, ვინც ჩაიდინა დანაშაული, პასუხს აგებს ჰააგის ტრიბუნალის წინაშე.

– უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინდელ პრეზიდენტებს სააკაშვილსა და მედვედევს მოუწევთ პასუხისმგებლობა? პუტინთან მიმართებით რა იქნება?

– მე ძალიან მინდა, რომ პუტინიც იყოს ამ რიგებში. ეს არ იქნება პირველი შემთხვევა, როცა ასეთი მაღალი პირები გასამართლდებიან ჰააგაში. აქამდე ასამართლებდნენ აფრიკელებსა და აზიელ დიქტატორებს. ძალიან კარგი იქნება, ევროპაში ასეთი პრეცედენტი თუ შეიქმნება.

„ცოლ-შვილს დაგიხოცავ, 3.000 დოლარს თუ არ მოიტანო“

პოლიციამ რუსთავში ა.გ. დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.გ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რუსთავში დააკავეს.

მას ბრალი ქურდული სამყაროს წევრობასა და გამოძალვაში ედება.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული გარდაბნის რაიონში მცხოვრებ მოქალაქეს, სიცოცხლის მოსპობის, ცოლ-შვილის მოკვლის და ქონების განადგურების მუქარით, 3.000 ამერიკულ დოლარს სძალავდა.

ა.გ. მოქალაქეს „კანონიერი ქურდის“ – „გულის“ სახელით ემუქრებოდა.

დაზარალებულის დასაშინებლად ბრალდებულმა მის საცხოვრებელ სახლს ცეცხლმოკიდებული ბოთლი ესროლა, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და გამოძალვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 181-ე მუხლის 1-ლი და 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ოჯახს 180.000 ლარი გამოსძალეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძალვის და ყაჩაღობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში 1964 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ი., დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.ი. თბილისში, 1958 წელს დაბადებულ ტ.ლ.-ს, მისი და ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობის მუქარით, წლების განმავლობაში ფულს სისტემატურად სძალავდა. გამოძიების ინფორმაციით, დაზარალებულისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი, დაახლოებით, 180.000 ლარია, – აცხადებენ უწყებაში.

მისივე ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებული იმ დროს დააკავეს, როდესაც დაზარალებულს მისივე კუთვნილი ლომბარდიდან თანხის გამოტანა აიძულა და ფული გამოსძალა.

– გამოკითხვისას ტ.ლ.-მ პოლიციას ასევე განუცხადა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის ივნისში დააყაჩაღა, – აღნიშნავენ შსს-ში.

გამოძიება გამოძალვის და ყაჩაღობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე და 179-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სოსო ცინცაძე: „28 ნოემბერი საქართველოსთვის შეიძლება წყალგამყოფი აღმოჩნდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩევნების მეორე ტურის შემდეგ მოვლენების შესაძლო განვითარებაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, არჩევნების მეორე ტურიდან თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

– ეს არის არჩევნების მეორე ტური, სადაც პროგნოზი არათუ უმადური საქმეა, არამედ შეიძლება სახიფათოც კი იყოს.

გამსახურდიას არჩევნების შემდეგ, სიმართლე გითხრათ, მე ასეთი დაძაბული არჩევნები არც კი მახსოვს. ასეთი დაძაბული არ ყოფილა 2012 წლის არჩევნებიც კი, როდესაც ერთი ხელისუფლება მიდიოდა და ახალი მოდიოდა. ეს კიდევ სხვა რაღაცაა. მე მეორე ტურს დრამატულ და რისკიან არჩევანს ვუწოდებ.

– რატომ?

– ბევრი ფაქტორის გამო. ამ არჩევნების დრამატულობასა და რისკიანობას ის კი არ განსაზღვრავს, თუ რამდენი არჩევანი აქვს ადამიანს, არამედ ის, როგორი არჩევანი აქვს ქვეყანას. ამ ყველაფერს ის ამძაფრებს, რომ ორივე გუნდი დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში.

ასეთი თავდაჯერებულობა ყოველთვის საფრთხის შემცველია. ამიტომ მე ვშიშობ, რომ არც ერთი მხარე არ შეეგუება დამარცხებას, თან

ხომ ვიცით, რომ ეს არჩევნები არჩევნებზე მეტია. თითქოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. ასე უყურებს ორივე გუნდი, „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც 28 ნოემბრის არჩევნებს. მე მეშინია, რომ ეს არ იყოს წყალგამყოფი ჩვენი ქვეყნისთვის.

– ასე დრამატულად არის საქმე?

– ღმერთმა ქნას, რომ ასე არ იყოს და მე ვცდებოდე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, პროგნოზის გაკეთებისაც კი მეშინია. „ქართული ოცნება“ თვლის, რომ წაგების უფლება არ აქვს. მან უკვე ყველაფერი დადო ფსონზე, როდესაც თქვა, რომ ეს არჩევნები უნდა მოიგოს – მოთამაშე კაზინოში რომ შევა და ყველაფერს რომ ჩამოვა

„ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკოსებისთვის მოგება და წაგება ძმები არიან, სადაც არჩევნებს დღეს თუ წააგებ, ხვალ მოიგებ“

და არა მხოლოდ ქონებას, არამედ ოჯახის წევრებსაც კი. ასეთი დრამატული ვითარებაა.

ოპოზიციამ, კონკრეტულად კი ნაციონალურმა მოძრაობამ, კარგად იცის, რომ თუ ახლა ამ შანსს ხელიდან გაუშვებს, მეორე შანსი აღარ მიეცემა. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მთელი მათი რესურსის მობილიზება მოეხდინათ და, თუ ახლა თავიანთ ამომრჩეველს იმედებს გაუცრუებენ, მერე უკვე ძალიან გაუჭირდებათ.

ეს კარგად იციან და ამიტომ მზად არიან, ყველა ხმა კბილებით დაიცვან.

თუ მეორე ტურიც მხოლოდ ერთპროცენტიანი სხვაობით დასრულდება, როგორც პირველი ტურის შემთხვევაში და ასე გაიმარჯვებს სალომე ზურაბიშვილი, მაშინ ოპოზიცია ამ ერთ პროცენტს თითზე დაიხვევს და იტყვის, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. რა შეიძლება ამას მოჰყვეს, მე ამის წარმოდგენაც კი არ მინდა.

– საერთაშორისო დამკვირვებლები ხომ იქნებიან და მათი დასკვნები ოპოზიციისთვის არ იქნება საკმარისი?

– თუ ასე განვითარდება მოვლენები, მერე უკვე საერთაშორისო დამკვირვებლებსა და მათ დასკვნებს არავინ დაელოდება. სამწუხაროდ, ასე იქნება. თან ამ საპროტესტო ტალღას დაემატება სოციალური ვითარება, ის მძიმე ფონი, რომელიც რეალურად არის ქვეყანაში და მეტი სხვა რა არის საჭირო?!

– შეიძლება პროცესები უმართავი გახდეს?

– რა თქმა უნდა. მერე უკვე ასეთი ქუჩაში გადმოღვრილი პროტესტის მართვა, არათუ შეჩერება ამ ხელისუფლებას კი არა, ბევრ ჭკვიან ხელისუფლებას უჭირს ხოლმე და არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, ასეა ეს ყველა ქვეყანაში. ერთხელ აგორებული პროტესტი, რომელსაც უსამართლობის საფუძველი დაედება, ამ შემთხვევაში შეიძლება ეს არჩევნების თემის მანიპულირებით იყოს, მერე უკვე ძალიან რთულია.

ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკოსებისთვის მოგება და წაგება ძმები არიან, სადაც არჩევნებს დღეს თუ წააგებ, ხვალ მოიგებ. თუ რომელიმე მხარე შეეგუება წაგებას, მაშინ შეიძლება უპრობლემოდ ან ნაკლებ დამაზიანებლად გავიაროთ ეს ეტაპიც და არაფერი არ დაგვემუქროს, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები მაღალ მატერიებზე რომ არ ფიქრობენ, ქვეყნის მომავლის ბედი, სამშობლო, ქვეყნის ინტერესები, ამ ყველაფრის გააცნობიერება რომ არ ხდება, ამიტომაც ვართ ამ დღეში.

„ნაციონალური მოძრაობა იგორ გიორგაძემ შექმნა“

ემზარ კვიციანი: „ოცნებას“ პარლამენტში მონებში სჭირდება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ითხოვს ამერიკასთან ურთიერთობების გადახედვას, რატომ არის აუცილებელი ლუსტრაციის კანონის მიღება, არის თუ არა პატრიოტთა ალიანსი „ოცნების“ სატელიტი პარტია? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი ესაუბრება.

– პატრიოტთა ალიანსი აპირებს ნაციონალების საწინააღმდეგო აქციების გამართვას. ნაციონალები ამბობენ, რომ თქვენი პარტია „ოცნების“ სატელიტი პარტიაა და მათი დავალებით აპირებთ ქუჩაში გასვლას. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

– მართლა ამ თემაზე სალაპარაკოდ დამირეკეთ? სხვა სასაუბრო არაფერი გაქვთ? მეგონა, იმ სკანდალური ინფორმაციაზე მკითხავდით, რომელზეც რამდენიმე დღის წინ ვისაუბრე და არც ერთ მედიასაშუალებას არ გაუშუქებია.

– რა სკანდალზე საუბრობთ და, თუ სკანდალი იყო, რატომ მიიჩქმალა?

– სკანდალი იყო და მაგიტომ მიიჩქმალა. მოკლედ, გასული კვირის დასაწყისში ქართულ მედიაში გიორგი კბილცეცხლაშვილმა გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც, ამერიკა, ფაქტობრივად, აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაიწყოს ამ საკითხის შესწავლა და, თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ამერიკასთან ურთიერთობებს უნდა გადავხედოთ.

– ამერიკა რანაირად აღიარებს აფხაზეთს, როცა ეს ქვეყანა მხარს უჭერს არაღიარების პოლიტიკას და იმ ქვეყნებისთვის აპირებს სანქციების დაწესებას, რომლებიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებს აღიარებენ.

– იმ დოკუმენტების თანახმად, რომლებიც გიორგი კბილცეცხლაშვილმა გადმოსცა ქართულ მედიას, აშშ-მ, ფაქტობრივად, აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

– და ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა?

– არავინ არაფერი იცოდა. გიორგი კბილცეცხლაშვილი რომ არა, ამის შესახებ მაშინ გავიგებდით, როცა ძალიან დაგვიანებული იქნებოდა.

– ვინაა ეს გიორგი კბილცეცხლაშვილი?

– ჩემი და შენი ზემლიაკია, მთიელი კაცია. მაგან მოიპოვა ეს სკანდალური მასალა.

– საიდან ჩაუვარდა მას ეს მასალა და რა მასალებზეა საერთოდ საუბარი?

– ეს ადამიანი ანუ გიორგი კბილცეცხლაშვილი მუშაობდა რუსეთში აშშ-ის საკონსულოში. მან მოიპოვა დოკუმენტები იმის შესახებ, რომ რუსეთში აშშ-ის საელჩო აღიარებს აფხაზეთის შსს-სა და სოხუმში მდებარე რუსეთის საელჩოს.

გიორგი კბილცეცხლაშვილის მიერ მოპოვებული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ აფხაზური შსს-დან და სოხუმში მდებარე რუსეთის საელჩოდან მიღებული დოკუმენტების საფუძველზე აშშ-ის საემიგრაციო სამსახური გასცემს ვიზებს.

– აფხაზებს მისცეს ამერიკაში წასასვლელი ვიზები?

– უფრო უარესი, არც ერთი აფხაზისთვის არ მიუციათ ვიზა.

– აბა ვის მისცეს?

– ვის და აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებს.

– ეს არ არის გასაკვირი, აშშ-შიც და რუსეთშიც სომხებს ძალიან ძლიერი ლობი ჰყავთ.

– მეც მანდა ვარ, რომ ძლიერი ლობი ჰყავთ. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ამ სომხურმა ლობიმ დაგვაპირისპირა ჩვენს მოძმე აფხაზებთან.

გიორგი კბილცეცხლაშვილი მზად არის, ჩვენებაც მისცეს საქართველოს ხელისუფლებას.

– სად არის ახლა კბილცეცხლაშვილი?

– ეგ არავინ იცის.

– რატომ?

– იმალება. ასეთი სკანდალური ინფორმაციის გავრცელების მერე მას სერიოზული პრობლემები შეექმნება.

მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ დაიწყოს ამ ფაქტების შესწავლა. თუ დადგინდა, რომ აშშ მართლა თანამშრომლობს სეპარატისტებთან, ჩვენ ვაშინგტონთან ურთიერთობას უნდა გადავხედოთ.

ამის გარდა, აუცილებლად უნდა ვაგებინოთ ნაციონალურ მოძრაობას ამაზე პასუხი.

– ამაზე ნაციონალებმა რატომ უნდა აგონ პასუხი?

– იმიტომ უნდა აგონ, რომ გაიძახიან, პროამერიკულები ვართო.

– ეგრე „ოცნებაც“ იძახის, პროამერიკულები ვართო.

– მათაც უნდა აგონ პასუხი, მაგრამ ჯერ ნაციონალებს უნდა ვკითხოთ რაღაცები. ეს ძალა რუსეთისა და ამერიკის დავალებებს ასრულებს და საქართველოს ტერიტორიებს ართმევს.

– თუ პროამერიკელები არიან, რუსეთის დავალებებს ერთად როგორ ასრულებენ?

– ძალიან მარტივად. რუსეთი და ამერიკა ერთი არ არის? მაგათ საქართველო ქართველების გარეშე უნდათ. ნაცმოძრაობა ამერიკელებთან შეთანხმებით იგორ გიორგაძემ შექმნა. ნაციონალებმა თავად აღიარეს, რომ ორმაგი აგენტები არიან.

– სად აღიარეს?

– პარლამენტის სხდომაზე. მე მათ ვუთხარი, კაგებეშნიკები ხართ-მეთქი. ამაზე სალომე სამადაშვილმა მითხრა, ცერეუ რატომ დაგავიწყდაო. ვითომ ხომ იხუმრა, მაგრამ სინამდვილეში აღიარა, რომ ორმაგი აგენტები არიან.

ნაცმოძრაობაში ძალიან ბევრი წინაპრებით არის კაგებეშნიკი. სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული კანონი ლუსტრაციის შესახებ. ამ ინიციატივით გამოვიდა ლევან კობერიძე. მინდა მივმართო მას, რომ შემიამხანაგოს და ერთად დავწეროთ ეს კანონი.

ახლა იმაზეც გაგცემთ პასუხს, რაზეც დამირეკეთ. მაშ, ნაცები გვეძახიან „ოცნების“ სატელიტებს, არა? თავად ვისი სატელიტები არიან? ამაზე გასცენ ხალხს პასუხი.

– ნაცმოძრაობა „ოცნების“ სატელიტია?

– დიახ. „ოცნებამ“ გადაარჩინა ეგ პარტია, რომელიც პატრიოტთა ალიანსმა გაანადგურა. ირმა ინაშვილს, თარხან-მოურავსა და გიორგი ლომიას რომ არ გაეტანათ ციხის კადრები ქვეყნიდან, მას ვერავინ ნახავდა და ვერც „ოცნება“ მოიგებდა არჩევნებს.

„ოცნებამ“ ნაციონალები შეინარჩუნა და ახლა ყველაფერს აკეთებენ, რომ მათ მოაგებინონ საპრეზიდენტო არჩევნები. ძალიან გაკვირვებული დავრჩები, თუ სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა.

– რატომ გაგიკვირდებათ?

– „ოცნების“ ნაწილი და სუსი ვაშაძეზე მუშაობს. დარწმუნებული ვარ, მაგას მოაგებინებენ არჩევნებს. ვერ ხედავთ, როგორ ჩააჩოჩეს ნამდვილი მებრძოლები „ოცნებიდან“? ეკა ბესელიამ და სოფო კილაძემ რამდენჯერმე ეროვნული პოზიცია გამოხატეს და პოლიტსაბჭოდან გამოყარეს. ამ პარტიაში არიან ადამიანები, რომლებსაც პარლამენტში მონები სჭირდებათ. ეს მონები ნაციონალებს ვერაფერს გაუბედავენ.

პოლიციამ ბინის ქურდები დანაშაულის დროს დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.გ. და 1980 წელს დაბადებული, წარსულში ბინის ქურდობისთვის ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.მ. თბილისში, ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩაზე, ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში კარის საკეტის გამღები ინსტრუმენტის, „ატმიჩკის“ გამოყენებით, უკანონოდ შეაღწიეს და მასში არსებული ნივთების დაუფლებას ცდილობდნენ.

სამართალდამცველებმა ორივე პირი ბინაშივე დანაშაულის ჩადენის დროს დაიკავეს. პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, ნაქურდალი ნივთები და კუსტარულად დამზადებული კარის საკეტის გამღები მოწყობილობა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ არაერთგზის ჩადენილ ქურდობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 19-177 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

„მეუღლესთან მივედი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე, ადგილზე გარდაიცვალა“

ახალსოფელში მანქანამ 3 ადამიანი გაიტანა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ორი კი დაშავდა. ერთ-ერთი დაშავებულის ინფორმაციით, ისინი ქვეითად გადაადგილდებოდნენ და გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომობილი დაეჯახათ.

მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

– სამნი ვიყავით, მე, ჩემი მეუღლე და მეზობლის ქალი. სწრაფად მომავალი მანქანა დაგვეჯახა. რომ წამოვდექი, მეუღლესთან მივედი, ვერა-

ფერი გავაგებინე, ადგილზე გარდაიცვალა. ორი დავშავდით. მძღოლი გაიქცა, – განაცხადა დავით მელაძემ.

ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა.

თომას დე ვაალი: „ბიძინა ივანიშვილი არაფორმალური მეფეა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების არატრადიციულობასა და უჩვეულობას ამჩნევენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბოლო დღეებში საქართველოში მსჯელობის საგნად გადაიქცა სალომე ზურაბიშვილის ახალი საარჩევნო ბანერები „ქართული ოცნების“ ლიდერების გამოსახულებით.

საქართველოს მეზობლების ყურადღებას პოსტსაბჭოთა სივრციდან იპყრობს ის, რომ მეორე ტურში გადასულ ორივე პრეზიდენტობის კანდიდატს პრორუსულ შეხედულებებში ადანაშაულებენ, მთელი საარჩევნო კამპანია კი რუსულ აგრესიას ეძღვნება.

მკვლევარი აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონის საკითხებში თომას დე ვაალი თავის ინტერვიუში საქართველოს შესახებ აცხადებს, რომ არჩევნების პირველი რაუნდი წარუმატებელი აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილისთვის, რომელმაც პირადად შეარჩია ზურაბიშვილის კანდიდატურა. ეს კანდიდატურა ყველაზე შესაფერისი არ აღმოჩნდა. მეორე რაუნდის ფავორიტად ითვლება ვაშაძე, რაც, მისი შეფასებით, აჩვენებს, რომ საქართველოში პოლიტიკა ჯერ ისევ ცოცხალია, საზოგადოება კი – აქტიური.

დე ვაალის აზრით, ქართველებს შეუძლიათ მობილიზება იმის წინააღმდეგ, რასაც ისინი მონოპოლიად თვლიან, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

მისი თქმით, საქართველოში ინსტიტუტები წინანდელზე ძლიერია, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში ქვეყანაში სულ ორი ლიდერი იყო – სააკაშვილი და ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილი, ექსპერტის სიტყვებით, რჩება საქართველოს არაოფიციალურ მეფედ.

დე ვაალი რატომღაც დარწმუნებულია, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიას აღარ გეგმავს. მისი დასკვნით, 2008 წლის შემდეგ რუსეთი საქართველოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ამჟამად მოსკოვს საქართველოს მიმართ აგრესიული გეგმები არ გააჩნია. მკვლევარი ფიქრობს, რომ რუსეთს არ სურს

საქართველოს შესვლა ნატოში. მას საქართველოში მეგობრული ხელისუფლება უნდა.

თომას დე ვაალი მიეკუთვნება იმ ექსპერტების რიცხვს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება საჭიროებას არ წარმოადგენს:

– საქართველოს წევრობა ნატოში არც ისე აუცილებელია. უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება მჭიდრო ურთიერთობები ევროკავშირთან და ეკონომიკური ასპექტი.

დე ვაალის თქმით, წარსულში რუსეთის აგრესიაზე საქართველომ პასუხი ნატოს გარეშეც იპოვა. მან დაამყარა ორმხრივი ურთიერთობა აშშ-სთან. პენტაგონმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული არმიის პროფესიონალიზმი. შესაძლებელია პროგრესის მიღწევა სხვა მნიშვნელოვან საკითხებში, მათ შორის, ვაჭრობასა და ეკონომიკაში.

ვაჭრობას ექსპერტი თბილისს ოკუპირებულ აფხაზეთთანაც ურჩევს. მისი შეფასებით, ბოლო დროს გაძლიერდა აფხაზეთის იზოლაცია და რუსეთზე დამოკიდებულება. მისი აზრით, არაღიარების პოლიტიკის დაურღვევლად შესაძლებელია მეტი საერთაშორისო მონაწილეობა აფხაზეთის მიმართულებით.

ესაა დახმარება ჯანდაცვის, ეკოლოგიის, განათლების საკითხებში. აფხაზეთმა უნდა ივაჭროს საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოს რაიონებთან.

გოგლა ჟვანია: „არ უნდათ გახმაურებული მკვლელობის გამოძიება და ყველაფრისთვის წერტილის დასმა“

– არ უნდათ გახმაურებული მკვლელობის გამოძიება და ყველაფრისთვის წერტილის დასმა, ურჩევნიათ, ეს ყველაფერი დაკიდებულ მდგომარეობაში იყოს.

ამის შესახებ პარლამენტის ყოფილი წევრი, ზურაბ ჟვანიას ძმა გოგლა ჟვანია აცხადებს.

როგორც ჟვანიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განმარტა, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმის საგამოძიებო პროცესში მუდმივად მიდის რაღაც ექსპერტიზები.

მისივე შეფასებით, ექსპერტიზები არა საქმის წინ წასაწევად, არამედ დროის გაჭიანურების მიზნით კეთდება.

– ყველანი ვხედავთ, რომ ჩვენი ხელისუფლება და მისი სახით პროკურატურა სირაქლემას პოზიციაში დგომას აგრძელებს. თავი ჩარგული აქვთ მიწაში და რეალობის დანახვა არ უნდათ. არ უნდათ ამ გახმაურებული მკვლელობის გამოძიება და ყველაფრისთვის წერტილის დასმა, ურჩევნიათ, ეს ყველაფერი დაკიდებულ მდგომარეობაში იყოს. დაგვიძახებენ ხოლმე ჭირისუფლებს, გაგვიღიმებენ, რაღაცებს დაგვპირდებიან, რაღაც იმედს ჩაგვისახავენ და სინამდვილეში, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ დრო გაიყვანონ და რეალური საქმე არ გაკეთდეს.

რომ გაიხედავ, აღმოაჩენ, რომ უკვე წლებია გასული და რეალურად არაფერია გაკეთებული, – განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

მისივე თქმით, მთავარ პროკურორს შალვა თადუმაძეს თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ უკვე შეხვდა და მასთან შეხვედრას უახლოეს პერიოდში ისევ ელის.

– მაქვს მოლოდინი, რომ საქმე გააქტიურდება. ისე, როგორც ახლა მიმდინარეობს, ეს ცალსახად მიუღებელია და, ბუნებრივია, არ ვაპირებ, ამას შევეგუო და ასე მშვიდად ვუყურო, – აღნიშნა გოგლა ჟვანიამ.

მაია ცქიტიშვილი: „ბიუჯეტს მოსახლეობის საჭიროებებზე დაყრდნობით ვგეგმავთ“

საქართველოს ვიცეპრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი იმერეთის რეგიონის მოსახლეობას შეხვდა და მათი საჭიროებები და ინიციატივები მოისმინა.

– ბუნებრივია, მუნიციპალიტეტს მოსახლეობის პრობლემები, მოსახლეობის თხოვნები მოაქვს ჩვენთან და ჩვენც შესაბამისად, 2019 წლის ბიუჯეტს მოსახლეობის საჭიროებებზე დაყრდნობით ვგეგმავთ. ჩვენ ვაგრძელებთ შეხვედრებს მუნიციპალიტეტში, რათა უშუალოდ ადგილზე უკეთესად გავიცნოთ მათი პრობლემები და უკეთესად დავგეგმოთ ჩვენი სამუშაოები და ბიუჯეტი, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, ვიცეპრემიერი მოსახლეობას ზესტაფონის სოფელ სანახშირეში, ასევე წყალტუბოსა და ხონში შეხვდა.

მუნიციპალიტეტებისა და სოფლების მცხოვრებლებმა ყურადღება გაამახვილეს პირველ რიგში გადასაჭრელ ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე.

თავის მხრივ, ვიცე-პრემიერმა მიაწოდა მოსახლეობას ინფორმაცია რეგიონში და კონკრეტულად მათ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. მაია ცქიტიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მნიშვნელოვანია, მოსახლეობა აქტიურად თანამშრომლობდეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რათა ადგილზე გაინაზღვროს ამა თუ იმ მხარისათვის პრიორიტეტული თემები და მიმართულებები.

მაია ცქიტიშვილი ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშში გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმსაც ესტუმრა და გალაკტიონის დაბადების დღე იქ შეკრებილ საზოგადოებას მიულოცა. მან, პირველ ყოვლისა, ვანის მოსახლეობას მიულოცა გალაკტიონის დაბადებიდან 127-ე წლისთავი და აღნიშნა, რომ გალაკტიონის პოეზიაზე გაიზარდა და იზრდება ქვეყნის ყველა თაობა. მისი თქმით, გალაკტიონის პოეზიის თავისებურება და გამორჩეულობა განსაზღვრა იმ ულამაზესმა მხარემაც და იმ ადგილმაც, სადაც იგი დაიბადა.

ვიცეპრემიერის განცხადებით, 2019 წელს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ საზანოში აშენდება 75 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი, სოფელ არგვეთში კი დასრულდება 112 მოსწავლისთვის განკუთვნილი საჯარო სკოლის მშენებლობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ შორაპნის, ცხრაწყაროს, ქვედა საზანოსა მეორე სვირის საჯარო სკოლებს. 16 სოფლის ამბულატორიის რეაბილიტაცია განხორციელდება 2020 წელს, სოფელ ზოვრეთში კი დასრულდება ახალი ამბულატორიის მშენებლობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქ ზესტაფონის ქუჩებში დაზიანებულ გზებს, რეაბილიტირდება არაერთი სოფლის გზა.

რაც შეეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტს, აშენდება 135 მოსწავლეზე გათვლილი წყალტუბოს საჯარო სკოლა და 203 მოსწავლეზე გათვლილი სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლა. სკოლების მშენებლობას მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს. ჯამში, ორივე სკოლის მშენებლობა დაფინანსდება 8 მილიონ 500 ათასი ლარით. 2020 წელს გარემონტდება რვა სოფლის ამბულატორია, ხოლო 2019 წელს დასრულდება კიდევ სამი სოფლის ამბულატორიის რემონტი. 2019 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა დაზიანებულ გზებს, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება ღვარსადენ არხებს. ამავე წელს ქალაქ წყალტუბოში საკანალიზაციო ქსელისა და სასმელი წყლის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაციის შედეგად, 1000 ოჯახს მოუწესრიგდება წყლის მიწოდება. დასრულდება ქალაქ წყალტუბოში საწურბლიის მღვიმის გზის და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებულ შადრევანს.

ხონის მუნიციპალიტეტში აშენდება 75 ბენეფიციარზე გათვლილი საბავშვო ბაღი, გარემონტდება 17 სოფლის ამბულატორია, მუნიციპალიტეტის არსებული გარე განათება შეიცვლება ე.წ. ლედ-განათებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხონის ისტორიულ ბულვარს; გორდისა და კინჩხის ადმინისტრაციულ ერთეულებში დამატებითი ლოკაციების ტურისტული ადგილების გასაჩენად, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები; მოეწყობა სოფელ კიჩხას და სოფელი გორდას სასმელი წყლის სისტემა; 2019 წელს დასრულდება შიდა გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია; დაიწყება მდინარე ღარჩელის შესართავთან, სოფელ მათხოჯსა და მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მაია ცქიტიშვილის თქმით, სკოლების რეაბილიტაციისთვის მუნიციპალიტეტებს რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოეყოფათ თანხები (ზესტაფონი – 200,000 ლარი, წყალტუბო – 460,000 ლარი, ხონი – 410,000 ლარი) მათ მიერვე განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით განსაკარგად.

1 ტვ

რა უნდა იცოდეთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც 2019 წლის 1-ლი იანვრიდან სესხის გაცემისას ამოქმედდება

ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის დებულება 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება. დებულება სესხის გამცემი ყველა ორგანიზაციისათვის ერთდროულად შევა ძალაში.

ამ დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

ეროვნული ბანკი დებულებასთან დაკავშირებით ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხებს აქვეყნებს, რომელსაც „ბიზნესპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– რა არის ამ დებულების მიზანი?

– ამ დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. სესხის გამცემი ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპით, კერძოდ, სესხის აღების ეტაპზე მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს ისეთი ფინანსური ვალდებულება, რომლის გადახდასაც ვერ შეძლებს.

– რა იცვლება ამ რეგულაციით?

– ამ რეგულაციით სესხის გაცემის მომენტში სესხის გამცემს ეზღუდება ფიზიკურ პირზე იმაზე მეტი თანხის სესხის ან სხვა ვალდებულების (მაგ. თავდებობა) დაკისრება, ვიდრე ფიზიკურ პირს ამის გადახდის რეალური შესაძლებლობა აქვს. დებულებით გათვალისწინებულია ასევე გამონაკლისები (მაგალითად, ლომბარდული სესხების დროს შემოსავლების შეფასება აუცილებელი არ არის, თუმცა ამ შემთხვევაში, ფიზიკური

პირის ვალდებულება მხოლოდ გირაოს საგნით იფარგლება);

– როგორ შეფასდება, თუ რა მოცულობის ვალის მომსახურება შეუძლია მსესხებელს?

– რეგულაცია აწესებს სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალურ ზღვრებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთან და ითვალისწინებს საქართველოს საბანკო სექტორის მახასიათებლებს.

– ოჯახის მთლიანი შემოსავალი თვეში 3,000 ლარია. რა მოცულობის იპოთეკური სესხის აღებაა შესაძლებელი 5,000 ლარის შემოსავლის შემთხვევაში?

– სესხის მოცულობა განსხვავებული იქნება სესხის გამცემი ორგანიზაციებისა და საპროცენტო განაკვეთების მიხედვით. თუმცა, რეგულაცია სესხის გამცემს უსაზღვრავს მაქსიმალურ ლიმიტს ყოველთვიურ გადახდებზე. მაგალითად, თუ ოჯახის შემოსავალი 3,000 ლარია, სესხის ყოველთვიური მომსახურების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1,350 ლარს 15-წლიანი სესხის შემთხვევაში და 1,650 ლარს – 5-წლიანი სესხის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ ბანკს შეუძლია გასცეს მაქსიმუმ 110 ათასი ლარის სესხი (დათვლილია 12% წლიური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). არსებული სტატისტიკა და საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ ამაზე მეტი ოდენობის სესხის აღების შემთხვევაში, არსებობს იმის დიდი რისკი, რომ მსესხებელი სესხის მომსახურებას ვერ შეძლებს და, შედეგად, დაკარგავს როგორც შეძენილ ბინას, ასევე უკვე გადახდილ თანხებს ან/და სხვა ქონებასაც; 5,000 ლარის შემოსავლის შემთხვევაში, ყოველთვიური გადახდები არ უნდა აჭარბებდეს 2,500 ლარს (სესხის ვადიანობა 15 წელი), ან 3,000 ლარს, უფრო მოკლევადიანი სესხის შემთხვევაში. ანუ, გაცემული იპოთეკური სესხის მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს 210 ათასს ლარს.

– ეზღუდება თუ არა საკრედიტო ინსტიტუტს თავდების გამოყენება?

– არ ეზღუდება. სესხის გამცემს შეუძლია მსესხებელთან ერთად დამატებით ფიზიკური პირის თავდებობის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რისი მომსახურების რესურსიც აქვს თავდებს ამ დებულების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ თავდები პირი წარმოადგენს მსესხებელი იურიდიული პირის მმართველი ორგანოს წევრს/პარტნიორს/აქციონერს ან მათი საოჯახო მეურნეობის წევრს, თავდების მიერ საკრედიტო კოეფიციენტების დაკმაყოფილება სავალდებულო არ არის.

– არ გაქვთ შემოსავალი და ფლობთ მხოლოდ ერთ საცხოვრებელ სახლს. მეგობარი, რომელიც ბანკიდან სესხს იღებს, გთხოვთ ამ სესხზე თავდებად დადგომას.

– ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენმა მეგობარმა, ნებისმიერი მიზეზის გამო, ვერ შეძლო სესხის მომსახურება, სესხის ნარჩენი ვალდებულება სრულად თქვენზე გადმოვა და თუ თქვენი შემოსავლები ამ სესხის მომსახურებისათვის საკმარისი არ არის, თქვენ დაკარგავთ ერთადერთ საცხოვრისს. გაითვალისწინეთ, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია, და ამ რეგულირებით იზღუდება, სესხის გამცემის მიერ თავდებად ისეთი პირის გამოიყენება, ვისაც სესხის მომსახურეობის საკმარისი შემოსავლები არ გააჩნია. შესაბამისად, სესხის გამცემი ასეთი თავდებობის გამოყენებას ვერ შეძლებს;

– თუ არ მაქვს საკმარისი შემოსავალი, შემიძლია თუ არა, მყავდეს თანამსესხებელი?

– დიახ. თუ გაგაჩნიათ საკმარისი შემოსავალი, თქვენ არ გჭირდებათ თანამსესხებელი. თუმცა, თუ თქვენი შემოსავალი არასაკმარისია, მაშინ შეგიძლიათ თანამსესხებელად გამოიყენოთ საოჯახო მეურნეობის წევრი, რომელსაც აქვს შემოსავალი. ამ შემთხვევაში, სესხის მომსახურების კოეფიციენტში ამ თანამსესხებლის შემოსავალიც გაითვალისწინება.

– ეხება თუ არა ეს მოთხოვნები სესხის რესტრუქტურიზაციას ან/და სხვა ბანკში გადატანას?

– არა. იმისათვის, რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია, სესხის რეფინანსირება, რესტრუქ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„სახელმწიფოს დამწყებები ბიზნესისთვის დახმარების პროგრამა არ უნდა ჰქონდეს“

„ქართველებს შეუძლიათ მობილიზება მონოპოლიის წინააღმდეგ“



– სახელმწიფოს დამწყები ბიზნესისთვის დახმარების პროგრამა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს სისტემა მეწარმეებს არათანაბარ პირობებში აყენებს.

ამის შესახებ „კომერსანტს“ ყველის საწარმო „ბლექს სი ჯორჯიას“ დამფუძნებელმა ბაგრატ მეზურნიშვილმა განუცხადა.

„ბლექს სი ჯორჯიას“ ხელმძღვანელი, რომელიც საკუთარი რეცეპტით 27 სახეობის ყველს აწარმოებს, ბაზარზე პირველად 2003 წელს გამოჩნდა. ბიზნესმენმა 2011-2012 წლიდან ყველის წარმოებას შედარებით ფართომასშტაბიანი სახე მისცა და წარმოებაც გააფართოვა, ხოლო 2018 წელს პროდუქციის აღიარების კოდიც მიიღო. ყველის საწარმო სამგორის მეურნეობაში მდებარეობს და მის მშენებლობაში დაახლოებით 40.000 ლარის ინვესტიცია ჩაიდო. კომპანია 6 თვის განმავლობაში სპეციალურად დაობებულ/დავარგებულ ჭყინტ ყველს აწარმოებს და 1 კგ ყველის ფასი 120 ლარია. კომპანია ყველს კერძო შეკვეთების მიხედვით ყიდის და სამომავლოდ სასტუმროებში შესვლასაც გეგმავს.

მეზურნიშვილი ყოველგვარი სახის სახელმწიფო დაფინანსებას ემიჯნება, მისი აზრით, სახელმწიფომ რომელიმე კონკრეტული ბიზნესი არ უნდა შეინახოს, არამედ უნდა შექმნას პლატფორმა, რათა ქვეყანაში მეწარმეებს ბიზნესის წარმოების სურვილი და შესაძლებლობა გაუჩნდეთ.

ბაგრატ მეზურნიშვილს ჩვენთან საუბრისას უცხო ქვეყნის მაგალითიც მოჰყავს და აცხადებს, რომ ამერიკაში პირველი შვიდი წლის განმავლობაში დამწყები ბიზნესი არ იბეგრება და წარმოებას სრული განვითარების საშუალება ეძლევა. იქ სესხის აღების დროს მხოლოდ ბანკი არ არის გადამწყვეტი და რომ ბანკის გარდა ალტერნატიული ინსტიტუტებიც არსებობს, საიდანაც სესხის აღება შესაძლებელია.

„კომერსანტის“ კითხვაზე – დღეს საქართველოში ბანკების გარდა სესხის გამცემი ალტერნატიული ინსტიტუტები, მაგალითად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არსებობს, ალტერნატივაში თქვენ კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– ქვეყანაში ახალი სისტემაა დასანერგი, მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან წინასწარ უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა, რომ გლეხს, რომელსაც მოსავალი მოჰყავს, ზუსტად უნდა იცოდეს რა სახის პროდუქცია რა რაოდენობით მოიყვანოს, რათა მისი შრომა წყალში არ ჩაიყაროს. ამის შემდგომ მას საკუთარი მყიდველი ეყოლება. ანუ, ის საკუთარ პროდუქციას თავადვე გაყიდის და ეს ბიზნესისთვის სახელმწიფოს მხრიდან ერთგვარი დახმარების ფორმა იქნება.

ამით მეწარმე, ამ შემთხვევაში გლეხი, თავად გადაწყვეტს საკუთარი ფინანსები რა პროექტებში ჩადოს. ეს არ არის ბანკის რომელიმე ფილიალი ეს დამოუკიდებელი ფინანსური ინსტიტუტია, რომელსაც თავად ქმნი. ეს ნიშნავს, რომ შენი თანხა სახლიდან გაუსვლელად ამა თუ იმ პროექტში ჩადებით განკარგო და პროცენტებიც თავად დააწესო. აქ ბანკი საჭირო აღარაა, – განაცხადა ბაგრატ მეზურნიშვილმა.

– რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ქვეყანაში მსგავსი ალტერნატიული საფინანსო ინსტიტუციების შესაქმნელად?

– კანონმდებლობა უნდა შეიქმნას და პარლამენტმა უნდა იმუშაოს, ხოლო მუშაობის შედეგად მსგავსი საფინანსო ინსტიტუტები ბუნებრივად უნდა წარმოშვას. ეს უფრო იაფი ალტერნატიული ფულის ბაზარს შექმნის. ბანკების მხრიდან ახლა განვადებების გაკეთებაც კი გაჭირდა და ეს რეალური პრობლემაა.

– ბანკების ჭრილში, სესხის გადახდის თვალსაზრისით, ლარის კურსის გაუფასურება თქვენს ბიზნესზე როგორ მოქმედებს?

– ეს უკვე ლარის კურსის გაუფასურება აღარაა. ეს შრომის გაუფასურებაა. მეწარმეს სტიმული აღარ აქვს, რომ წარმოება გაზარდოს. მე ვემსახურები ბანკს და არა ჩემი ბიზნესის განვითარებას. საბანკო მომსახურება მხოლოდ მსხვილ ბიზნესზეა გათვლილი.

რაც შეეხება უშუალოდ ბიზნესის განვითარებას, ბაგრატ მეზურნიშვილი მსხვილ სავაჭრო ქსელებში არსებულ მონოპოლიაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მაღალი გადასახადის გამო ახალი პროდუქციის დახლზე განთავსება რთულია. ბიზნესმენის თქმითვე, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ქართული კუთხე იყოს გამოყოფილი, რათა ქართულის პოპულარიზაცია მოხდეს და უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციის გაწევა არ მოხდეს. მეზურნიშვილის აზრით, მსხვილ ბიზნესში თავის დამკვიდრება რთულია.

„იპოთეკის კრედიტის პროცენტი შემცირდება ორჯერ, დოლარში აღებული სესხი დაბრუნდება 1.65 კურსით“ — სააკაშვილი ახალი ბანკების შემოყვანას აანონსებს

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალ ვიდეომიმართვას ავრცელებს, სადაც ის ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და საბანკო სისტემის პრობლემებზე საუბრობს. ამასთან სააკაშვილი რამდენიმე დაპირებას აჟღერებს, რომელთაც კოალიციური მთავრობის შექმნის შემთხვევაში განახორციელებს.

– მინდა გესაუბროთ იმ პროგრამაზე, რომელიც ეხება უსამართლო საბანკო დავალიანებებს. საქართველო ხალხის საბანკო დავალიანების კუთხით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. ეს არის უსამართლო მევახშეების მიერ შექმნილი მონოპოლიების შედეგი და ამ მონოპოლიებს სათავეში უდგას ივანიშვილი და 3 ბანკი, რომელიც პრაქტიკულად ინაწილებენ ქართველების მთელ შემოსავალს და არ-თმევენ საქართველოს პერსპექტივას.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ჩვენ და სახალხო ნდობით აღჭურვილი კოალიციური მთავრობის შექმნის შემდეგ გია ვაშაძემ წარმოადგინა პროგრამა და მე მის პროგრამას მხარს ვუჭერ. ეს არის პირველ რიგში უსამართლო საურავების გაუქმება კრედიტებზე. ხალხს აღებული აქვს კრედიტი და გადახდილი აქვს 25 ათასი საურავები და პროცენტები და მაინც ართმევენ ბინას, რა თქმა უნდა ეს უსამართლობაა. ჩვენ ამას გავაუქმებთ. ჩვენ დავაწესებთ ეფექტური პროცენტის ზედა ზღვარს. ახალი ხელისუფლება გააკეთებს იმას, რომ იპოთეკის კრედიტის პროცენტი შემცირდება მინიმუმ ორჯერ. ეს არის ჰოლანდიური სისტემა, რომელიც მე კარგად შევისწავლე და გავუგზავნე კოალიციის წევრებს. ამის თანახმად იქმნება სახელმწიფო გარანტირების ფონდი. მსოფლიო ბანკის აღებული კრედიტებით შეივსება და მის საფუძველზე მოხდება იპოთეკის პროცენტის შემცირება. ეს დიდ შვებას მისცემს ხალხს. ამ მთავრობას ეს არც კი უცდია. ევროპის ცენტრალური ბანკი 1%-ად გასცემს ევროპაში კრედიტებს ახლა. ამათ არც კი უცდიათ გასვლა საერთაშორისო ბაზარზე და ხალხისთვის ამ უპროცენტო კრედიტების წამოღება. ახალი ხელისუფლება ამას აუცილებლად იზამს. ამასთან ძალიან ბევრს ვალი აქვს აღებული დოლარში, ხელისუფლების გამოცვლის შემდეგ დოლარში აღებული სესხის დაბრუნება მოხდება 1.65 კურსით. ასევე უსამართლო ვალები გაიყინება ორი წლით. ეს არის ჩვენი პროგრამა საბანკო დავალიანებების კრიზისის გადალახვის, ხალხის გაჭირვების შემსუბუქების. ჩვენ ასევე მოვახდენთ საბანკო ბაზრის ლიბერალიზაციას, შემოვიყვანთ ბევრ სხვადასხვა ბანკს და მევახშე ივანიშვილი ვეღარ შეძლებს ამ ძარცვის გაგრძელებას. ეს პროგრამა ამოქმედდება საპრეზიდენტო არჩევნების მოგების და ყველა ცვლილებასთან ერთად, – ამბობს სააკაშვილი.

ბიტკოინის ფასი 1 დღეში თითქმის 1.000 დოლარით დაეცა

კრიპტობირჟის მომხმარებლებისთვის ბოლო რამდენიმე დღე არანაყოფიერი გამოდგა. ყველაზე პოპულარული კრიპტოვალუტის, ბიტკოინის ფასი თითქმის 1.000 დოლარით დაეცა და წლის მინიმუმი, 5.600 დოლარი შეადგინა. კრიპტოვალუტების ჯამური კაპიტალიზაცია, Coinmarketcap-ის მონაცემებით, 206-დან 182 მილიარდ დოლარამდე დაეცა. ასევე შემცირდა სხვა კრიპტოვალუტების ღირებულება. Etherium 178 დოლარი ღირს, Bitcoin Cash – 402 დოლარი, Ripple-ის შეძენა კი 47 ცენტად შეგიძლიათ.

სავარაუდოდ, არსებული გაუფასურება ბაზარზე Bitcoin Cash-ის შემქმნელების ორ გუნდად გაყოფამ გამოიწვია, რომლებმაც დიდი რაოდენობით კრიპტოვალუტები ნაღდ ფულზე გადაცვალეს.

ბიემჯი

რა უნდა იცოდეთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც 2019 წლის 1-ლი იანვრიდან სესხის გაცემისას ამოქმედდება

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ტურიზაცია ან სხვა საკრედიტო ინსტიტუტში სესხის გადატანა ახალი სესხის აღებად არ ჩაითვლება და ამ ოპერაციებს საკრედიტო კოეფიციენტების ზღვრები არ შეეხება, თუკი არ ხდება ჯამური დავალიანების ზრდა.

– შეძლებს თუ არა არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირი სესხის აღებას, თუკი მას აქვს სტაბილური შემოსავალი, მაგრამ ეს შემოსავალი ბანკში არ ერიცხება?

– დიახ, შეძლებს. რეგულირება არ კრძალავს არაფორმალური სექტორიდან ან ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავლის შემთხვევაში სესხის გაცემას. სესხის გამცემი შეაფასებს მსესხებლის შემოსავლების მოცულობას და სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას შიდა პროცედურების შესაბამისად მიიღებს; შემოსავლის ბანკში ჩარიცხვა აუცილებელი არ არის, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფორმალური სექტორიდან შემოსავლის ან ბანკში ჩარიცხვის შემთხვევაში, გამსესხებლისთვის უფრო მარტივია შემოსავლების შეფასება და, შესაბამისად, სესხის გაცილებით უკეთესი პირობით გაცემა.

– შესაძლებელია თუ არა სესხის აღება უცხოეთიდან ფულადი გზავნილებით შემოსავლის საფუძველზე?

– დიახ, შესაძლებელია. რეგულაცია არ ზღუდავს ფულადი გზავნილებით მიღებული შემოსავლის შემთხვევაში სესხის გაცემას. სესხის გამცემი თქვენი შემოსავლების მოცულობას შეაფასებს მისი შიდა პროცედურების შესაბამისად და მიიღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის შესახებ.

– მსესხებელს არ აქვს დადასტურებული შემოსავალი (ფორმალური ან არაფორმალური). აქვს თუ არა გამსესხებელს უფლება, გასცეს ლომბარდული სესხი საცხოვრებელი ბინის იპოთეკით?

– დიახ, უძრავი ქონებით სრულად უზრუნველყოფილ სესხზე, როდესაც სესხის დაფარვის წყაროა გირაოში ჩადებული აქტივის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.

– ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება შემოსავლების შესწავლა (მაგალითად, შემოსავალს ვიღებ უცხოეთში ან სხვა). აქვს თუ არა გამსესხებელს იპოთეკური სესხის გაცემის უფლება ახალი უძრავი ქონების შესაძენად?

– დიახ, ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შესაძენი ქონების ღირებულება აკმაყოფილებს სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის 60%-იან მაჩვენებელს; მაგალითად, თუ ქონება, რომლის შეძენას აპირებთ, ღირს 100,000 ლარი, შესაძლებელია, აიღოთ 60,000 ლარის სესხი. ამ შემთხვევაში მოხდება ამ ახალი ქონების დაგირავება.

– გაქვთ შემოსავალი და ასევე ფლობთ ერთ საცხოვრისს. შესაძლებელია თუ არა ამ ბინის გირაოში ჩადება/იპოთეკით დატვირთვა და სესხის აღება?

– დიახ, შეგიძლიათ სესხის აღება იმ მოცულობით, რაც დაკმაყოფილებს რეგულაციის მიხედვით განსაზღვრულ საკრედიტო კოეფიციენტებს.

– ხართ ფიზიკური პირი, იღებთ სესხს ბიზნეს (მაგ. სოფლის მეურნეობის ან ტურიზმის) მიზნობრიობით. უნდა აკმაყოფილებდეთ თუ არა ამ დებულებით განსაზღვრულ კოეფიციენტებს?

– არა. სესხის გამცემმა უნდა შეაფასოს ფიზიკური პირის შემოსავალი და განსაზღვროს სესხის მოცულობა მისი შიდა პროცედურების შესაბამისად ისე, რომ მსესხებლის ჭარბვალიანობა არ გამოიწვიოს.

– იზღუდება თუ არა უძრავი ქონების შეძენა შემდგომი გაქირავებისათვის?

– არა. სესხის გამცემმა გონივრული პრინციპებით უნდა შეაფასოს მსესხებლის არსებული და მომავალში გაქირავებიდან მისაღები შემოსავალი და შიდა პროცედურებით განსაზღვროს სესხის მოცულობა.

– რეგულირდება თუ არა ამ დებულებით ე.წ. სტარტაპ და სტუდენტური სესხები?

– სესხის გამცემმა უნდა იხელმძღვანელოს გონივრული შიდა პოლიტიკა/პროცედურებით და გასცეს იმ მოცულობის სესხი, რომელიც არ გამოიწვევს პირის ჭარბვალიანობას.

– უნდა შეუთანხმოს თუ არა სესხის გამცემმა ორგანიზაციამ მისი შიდა პოლიტიკა/პროცედურები ეროვნულ ბანკს?

– არა, წინასწარ შეთანხმება სავალდებულო არ არის თუ სესხის გამცემი ორგანიზაცია ამ დებულების პრინციპების შესაბამისად მოქმედებს. სესხის გამცემმა ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ გონივრული შიდა პოლიტიკით/პროცედურებით, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნის ამ ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობას და არ გამოიწვევს მსესხებლის ჭარბვალიანობას.

– ეხება თუ არა ეს შეზღუდვები „მევახშეებს“?

– დიახ. 2019 წლის 1 იანვრიდან რეგულაცია გავრცელდება ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ყველა იმ სუბიექტზე, ვინც სესხს 20-ზე მეტ პირზე გასცემს.

– შესაძლებელი იქნება თუ არა ფინანსური ინსტრუმენტებით (ისეთებით, როგორიცაა დეპოზიტი და ფასიანი ქაღალდი) სრულად უზრუნველყოფილი სესხის აღება?

– დიახ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გაქვთ შემოსავალი და არ გერიცხებათ ხელფასი, ფინანსური ინსტრუმენტებით (ისეთებით, როგორიცაა დეპოზიტი და ფასიანი ქაღალდი) უზრუნველყოფილი სესხის აღება შესაძლებელი იქნება.

– იკრძალება თუ არა ე.წ. ლომბარდული სესხები?

– არა. თუმცა, სესხის გამცემის მოთხოვნა შემოფარგლული იქნება მხოლოდ უზრუნველყოფაში წარმოდგენილი ქონებით და ვეღარ მოხდება კლიენტის სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა/დასაკუთრება.

– შეუძლია თუ არა სესხის გამცემ ორგანიზაციას, გასცეს სესხი ამ დებულებიდან განსხვავებული პირობებით?

– დიახ. თუმცა, ამისათვის სესხის გამცემმა ორგანიზაციამ წინასწარ უნდა მიიღოს ეროვნული ბანკის თანხმობა, რათა გამოირიცხოს მსესხებლისათვის შემოსავლების შეუსაბამო საკრედიტო ტვირთის დაკისრება.

– გაქვთ თუ არა უცხოურ ვალუტაში სესხის აღების შესაძლებლობა, თუკი შემოსავალს იღებთ ლარით?

– დიახ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ უცხოური ვალუტის სესხს აქვს სავალუტო და საპროცენტო რისკები. თუ სესხს ევროთი აიღებთ და შემდგომ ევრო ლარის მიმართ მნიშვნელოვნად გამყარდება, მაშინ თქვენი სესხის გადახდებიც გაიზრდება და, შესაძლებელია, სესხს ვეღარ მოემსახუროთ. აქედან გამომდინარე, დებულება უცხოური ვალუტის სესხებზე უფრო მკაცრ საკრედიტო კოეფიციენტებს აწესებს, რაც ქმნის დაცვის აუცილებელ ბუფერს სავალუტო რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში.

– შემოსავალს იღებთ ლარში, მაგრამ ის ინდექსირებულია უცხოურ ვალუტაზე ხელფასის გადახდის დღის კურსით. შესაძლებელია თუ არა სესხის აღება ამ უცხოურ ვალუტაში?

– დიახ, შესაძლებელია. თუ ხელფასის გადამხდელ ორგანიზაციას არ აქვს სავალუტო რისკი (მაგ. საერთაშორისო ორგანიზაციაა), მაშინ შესაძლებელია სესხი აიღოთ იმავე კოეფიციენტების გამოყენებით, რაც ლარში სესხის აღების შემთხვევაში მოქმედებს. ხოლო თუ ორგანიზაციას აქვს სავალუტო რისკი, მაშინ თქვენ ითვლებით ე.წ. არაჰეჯირებულ მსესხებლად, რის გამოც გამოყენებული იქნება შესაბამისი (უფრო დაბალი) კოეფიციენტი.

– როგორ ითვლება თl რევოლვირებად პროდუქტებზე, მაგალითად, ოვერდაფტზე ან საკრედიტო ბარათებზე?

– ასეთი სესხის მომსახურების კოეფიციენტი დაიანგარიშება ჯამური ლიმიტის მოცულობის ანუ იტეტური წესით 4-წლიან პერიოდზე გადათვლით. მაგალითად, თუ თქვენი ოვერდრაფტის ჯამური ლიმიტი არის 1,000 ლარი, თl-ის მიზნებისათვის ყოველთვიურ გადასახდელებში გაითვალისწინება დაახლოებით 28 ლარი (დათვლილია 15% წლიური საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში).

– დასაქმებული ვარ აგროსექტორში (გათავისუფლებული ვარ 200.000-მდე საშემოსავლო გადასახადისგან), ანგარიშსწორება მაქვს ნაღდი ფულით და არა ჩარიცხვით. შევძლებ თუ არა შემოსავლის დადასტურებასა და სესხის აღებას?

– დიახ. სესხის გამცემმა უნდა შეაფასოს ფიზიკური პირის შემოსავალი მისი შიდა პროცედურების შესაბამისად და განსაზღვროს სესხის მოცულობა ისე, რომ მსესხებლის ჭარბვალიანობა არ გამოიწვიოს.

ბპნ

სუსის დაკავებულმა მაღალჩინოსანმა შეიძლება პროკურატურის მაღალჩინოსნები ამხილოს

სუსი: „ოთარ გ. და ირაკლი გ. სიუჟეტის გასვლამდე გაცილებით ადრე, 2 ოქტომბერს, დავაკავეთ“

სუსის ყოფილ თანამშრომელს, ოთარ გაბუნიას, გამოძიება თაღლითობას ედავება. ყოფილი ძალოვანი გლდანის ციხეშია და, კურიერის ინფორმაციით, დუმილს არღვევს.

გაბუნია აპირებს, დაასახელოს საქართველოს პროკურატურის ის ორი მაღალჩინოსანი, ვისთანაც დიდი ოდენობით ქრთამიდან წილი მიჰქონდა.

სანდო წყარო კურიერს უყვება, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის დიდი ფულის გამოძალვის საქმეში მთავარი პროკურორის ორი მოადგილე – მამუკა ვასაძე და გიორგი გოგაძე – მონაწილეობდნენ.

სანდრო წყარომ სპეცსამსახურებიდან კურიერს ამ საქმის დეტალები უამბო.

მისი ინფორმაციით, 2018 წლის გაზაფხულზე საქართველოში სარფის გამშვები პუნქტის გავლით ინტერპოლის მიერ ძებნილი ძმები ალექსანდრე და ვლადიმირ გლუშკოვები შემოვიდნენ, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება თაღლითობისა და ქრთამის აღებისთვის ეძებდა და მათ რამდენიმე მილიონის მითვისებაში ადანაშაულებდა.

კურიერის ინფორმაციით, ინტერპოლის მიერ ძებნილი დეპუტატი ძმები საქართველოში 6 თვის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ და პოლიტიკური დევნილის სტატუსის მიღებაზე პროკურატურის მაღალჩინოსნებთან მოლაპარაკებები ჰქონდათ.

გადაწყვეტილების მიღებამდე კი ძმებ გლუშკოვებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დიდ თანხას სძალავდნენ. მათ მიერ ფულის გადახდაზე უარი თქმის შემდეგ დააკავეს და გლდანის ციხეში ჩასვეს.

ძმები გლუშკოვები ამ დრომდე საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფებიან. კურიერის ინფორმაციით, გათავისუფლების სანაცვლოდ მაღალჩინოსნები 300 ათას დოლარს ითხოვდნენ.

სკანდალური საქმის ადვოკატს, ლალი აფციაურს, ახლა საუბარი არ უნდა. კურიერის ინფორმაციით, მასშტაბური კორუფციული სკანდალის გახმაურებისგან თავის შეკავება მმართველმა პარტიამ ადვოკატს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გამო სთხოვა და დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ პრობლემას მოაგვარებს.

შუამავალი, კურიერის ინფორმაციით, გლუშკოვების ოჯახსა და მთავარი პროკურორის მოადგილეებს შორის სუსის თანამშრომელი ოთარ გაბუნია იყო.

ერთ-ერთი ვერსიით, მამუკა ვასაძის და გიორგი გოგაძის დავალებით, გაბუნია საქართველოში ჩამოსულ ალექსანდრე გლუშკოვის ცოლს შეხვდა და 300 ათასი დოლარის სანაცვლოდ, ძმების გათავისუფლებას და მათთვის სტატუსის მინიჭებას დაჰპირდა.

როგორ ხდებოდა გლუშკოვებისთვის თანხის გამოძალვა მაღალჩინოსნების მიერ დაკავებამდე და დაკავების შემდეგ, მტკიცებულებები, კურიერის ინფორმაციით, არსებობს. მათ შორის, არსებობს აუდიოჩანაწერიც, რომელშიც ალექსანდრე გლუშკოვი თაღლითური სქემის ორგანიზატორად პირდაპირ პროკურორის მოადგილეებს ასახელებს.

* * *

რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სახელმწიფო უშიშროების სამსახური გამოეხმაურა.

„გვსურს გამოვეხმაუროთ ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დაკავებული პირების შესახებ.

სიუჟეტში საზოგადოებას მიეწოდა არაერთი მცდარი ინფორმაცია.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გავრცელებულ ინფორმაციაში დასახელებული პირები, აღნიშნული სიუჟეტის ეთერში გასვლამდე გაცილებით ადრე, 2018 წლის 2 ოქტომბერს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ და პროკურატურამ ერთობლივად დააკავა და ორივე მათგანი ამჟამადაც საპატიმროში რჩება.

მათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აღნიშნული პირების დაკავების თაობაზე ვავრცელებთ დამატებით ინფორმაციას.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით თაღლითობის ჩადენის ფაქტზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ოთარ გ. და ადვოკატი ირაკლი გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ოთარ გ. და ირაკლი გ. წინასწარი შეთანხმებით დაუკავშირდნენ რუსეთის ფედერაციის მიერ ძებნილი, ამჟამად საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფი ორი პირის ნათესავს და თითქოსდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პროკურატურის მეშვეობით მათი პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ მოსთხოვეს დიდი ოდენობის თანხის გადახდა.

2018 წლის 2 ოქტომბერს აღნიშნული პირები მოტყუებით დაეუფლნენ ფულადი თანხის ნაწილს 10.000 აშშ დოლარს, რა დროსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ისინი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის მე-19-180-ე მუხლის მე-2 „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექცია“, – ნათქვამია სუს-ის განცხადებაში.

ხათუნა რაზმაძე: „იაგო ნებიერიძე ჩემი შვილის გატაცებასთან კავშირშია. ის 20.000 დოლარს ითხოვდა“

გორში 2004 წელს გატაცებული ზაქრო ბერძნიშვილის დედამ მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებებზე მედიასთან პირველი კომენტარი გააკეთა.

ხათუნა რაზმაძე ამბობს, რომ ოჯახმა არ იცის, რა ეტაპზეა გამოძიება, თუმცა მოლოდინი აქვთ, რომ ბიჭის უგზოუკვლოდ დაკარგვის საქმე გაიხსნება.

– 2004 წელს იაგო ნებიერიძეს ბრალი ვერ წაუყენეს გატაცებისთვის, ის თაღლითობისთვის დააკავეს. დაველოდოთ ამ ყველაფერს და ვფიქრობ, გაირკვევა ყველაფერი. ნამდვილად ის არის კავშირში ჩემი შვილის გატაცებასთან.

2004 წელს იაგო ნებიერიძე ავტოფარეხს აკეთებდა ჩვენთან და იქ გაიცნო ჩემი შვილი. მან დაწერა წერილი, რომელიც მივიღე და ეს აღიარა კიდეც. ითხოვდა 20 ათას დოლარს, მაგრამ არ გადაგვიხდია. ველოდებით, რომ ნამდვილად გაიხსნება ეს საქმე, – განაცხადა ხათუნა რაზმაძემ.

იაგო ნებიერიძე გორში 8 წლის გოგოს მკვლელობის ბრალდებით არის დაკავებული.

14 წლის წინ გაუჩინარებული ბავშვის შესახებ ინფორმაციამ ხელახლა 8 წლის ნანა ბერიაშვილის მკვლელობის შემდეგ გაიჟღერა. დაკარგული მოზარდის დედა ვარაუდობს, რომ საქმეში იაგო ნებიერიძე ფიგურირებს, თუმცა მას გამოძიებამ თავის დროზე ბრალი სხვა მუხლით წაუყენა.

ახმეტაში დაკარგული 86 წლის ნიკო გუშკაშვილი გარდაცვლილი იპოვეს

ახმეტაში დაკარგული 86 წლის ნიკო გუშკაშვილი გარდაცვლილი იპოვეს.

იგი 12 ნოემბერს სახლიდან პირუტყვის სამწყემსად გავიდა და მას შემდეგ დაკარგულად ითვლებოდა.

გუშკაშვილს 5 დღის განმავლობაში სამართალდამცველები და სამაშველო ჯგუფები ეძებდნენ და ცხედარს გუშინ, 18 ნოემბერს, ალაზნის პირას მიაკვლიეს.

მომხდარზე გამოძიება შსს-მ 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ხონში ქმარი 6 თვის ორსულ ცოლს სისტემატურად სცემდა

მოძალადეს 5 წელი მიესაჯა

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორსულ მეუღლის მიმართ სისტემატური ძალადობისთვის ბრალდებული თ.ხ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ხონის რაიონში თ.ხ. 2018 წლის 10 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით სისტემატიურად სცემდა და ძალადობდა 6 თვის ორსულ მეუღლეზე, თან ახსენებდა, რომ მისი საჩივრის საფუძველზე ის 2018 წლის 17 აპრილს სამართალდამცველებმა ოჯახში ძალადობის ფაქტზე დააკავეს.

თ.ხ. დაზარალებულს გამუდმებით აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრებოდა, რომ რამდენჯერაც მის გამო ციხეში გატარებული თვეები გაახსენდებოდა, იმდენჯერ სცემდა მას.

თ.ხ.-ს მხრიდან განხორციელებული ინტენსიური ხასიათის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური წნეხის შედეგად ც.წ.-მ ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა განიცადა და სხეულის დაზიანება მიიღო.

სამართალდამცველებმა თ.ხ. 2018 წლის 15 ივნისს დააკავეს.

სამტრედიის რაიონულმა პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111 - 126-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სისტემატური ცემა და სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ) წარუდგინა. თ.ხ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ თ.ხ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

მიხეილ გიორგაძე ყვარელთან ავარიაში მოყვა

მას 12 ნეკნი აქვს ჩამტვრეული, მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ სტაბილური

17 ნოემბერს ღამით კულტურის ყოფილი მინისტრი და ამჟამად მინისტრის მოადგილე მიხეილ გიორგაძე ავარიაში მოყვა.

12 მოტეხილი ნეკნით მიხეილ გიორგაძე ინგოროყვას კლინიკაშია მოთავსებული.

შემთხვევა ყვარელთან მოხდა.

– პაციენტი შემოსულია გუშინ გამთენიისას ჩვენს კლინიკაში. იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე. მიღებული აქვს სხეულის მრავლობითი დაზიანებები ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად.

ჩატარებული კვლევებით დიაგნოსტირებულია თავის ტვინის დაჟეჟილობის სურათი, ასევე გულ-მკერდის დახურული ტრავმა ნეკნების მრავლობითი მოტეხილობით და ფილტვის ქსოვილის დაჟეჟილობით და მენჯის ძვლების მოტეხილობა. ზოგადი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ამ ეტაპზე სტაბილური, – განაცხადა მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი გაფრინდაშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო. უწყების ცნობით, დანიშნულია ყველა შესაბამისი ექსპერტიზა.

თბილისში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

სისხლიანი გარჩევა ეჭვიანობის ნიადაგზე

შსს-ს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ა.მ. განზრახ მკვლელობის და ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.მ-ს მიმდინარე წლის 16 ნოემბერს თბილისში საღამოს საათებში ნაცნობებთან – 1993 წელს დაბადებულ ა.ს.-სა და 1993 წელს დაბადებულ რ.უ.-სთან ეჭვიანობის ნიადაგზე კონფლიქტი მოუვიდა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. კონფლიქტის დროს ა.მ.-მ ორივე მათგანს დანით სხეულზე დაზიანებები მიაყენა. მიყენებული ჭრილობების შედეგად რ.უ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო მეორე დაჭრილი კლინიკაშია გადაყვანილი,“ – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, შსს-ს ინფორმაციით, ინტენსიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი დანა.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

☎ 230 62 52; 599 16 10 82

ტერეზა მეი: „მომავალი კვირა ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი იქნება“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის განცხადებით, მომავალი კვირა ბრექსითის პირობების განსაზღვრის შესახებ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი იქნება.

– ვფიქრობ, ეს შესაბამისი შეთანხმებაა, რომელიც ეროვნულ ინტერესებს ესადაგება და შემდგომი შვიდი დღე უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა „სქაი ნიუსთან“ ინტერვიუში.

მისივე თქმით, ლონდონსა და ბრიუსელს მოუწევთ დამატებითი მოლაპარაკებების გამართვა ბრექსითის პირობებთან დაკავშირებით ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურების საგანგებო სამიტის ფარგლებში, რომელიც 25 ნოემბერს გაიმართება.

– ჯერ ყველაფერი შეთანხმებული არ არის, მოლაპარაკებები გაგრძელდება, – განაცხადა ტერეზა მეიმ.

14 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა შეათანხმა პროექტი ბრექსითის პირობებთან დაკავშირებით, მეორე დღეს კი 4 მინისტრი, მათ შორის მინისტრი ბრექსითის საკითხებში, თანამდებობიდან გადადგა, რადგან შეთანხმების პირობებს არ ეთანხმებოდნენ.

დალია გრიბაუსკაიტე თვითმფრინავის გაუმართობის გამო ლატვიაში ვერ გაემგზავრა

ლიეტუვას დელეგაცია, პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს ხელმძღვანელობით, ლატვიაში ვერ გაფრინდა და ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილეს მილოცვა ვილნიუსის აეროპორტიდან მოუხდა.

ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყება.

მისივე ცნობით, ამის მიზეზი იმ თვითმფრინავის მწყობრიდან გამოსვლა გახდა, რომლითაც სამთავრობო დელეგაცია რიგაში უნდა გამგზავრებულიყო.

პრესსამსახურის ინფორმაციით, ლიეტუვას დელეგაციას თვითმფრინავის მწყობრიდან გამოსვლის შესახებ მათ აეროპორტში მისვლის დროს აცნობეს.

დალია გრიბაუსკაიტეს ლატვიაში სხვადასხვა ღონისძიებაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

ვიქტორ იანუკოვიჩი საავადმყოფოში მოათავსეს

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი 16 ნოემბერს მოსკოვის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც რუსული მედია წერს, ვიქტორ იანუკოვიჩმა ტრავმა ჩოგბურთის თამაშის დროს მიიღო.

უკრაინის ექსპრეზიდენტს მუხლისა და ხერხემლის ტრავმა აქვს. ის თავდაპირველად რანიმაციაში, შემდეგ კი კერძო კლინიკაში გადაიყვანეს.

ვიქტორ იანუკოვიჩი 2014 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ რუსეთში წავიდა.

ჰაშოგის ლიკვიდაცია საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცმა ბრძანა?!

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ ჯინა ჰასპელსა და სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს შეხვდა.

საუბრის ძირითადი თემა ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობა იყო.

ჟურნალისტებთან საუბარში ტრამპმა განაცხადა, რომ გაეცნო ცსს-ს მოხსენებას ჰაშოგის მკვლელობის თაობაზე. ამერიკელი მზვერავები თვლიან, რომ მკვლელობა საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცმა მუჰამად სალმანმა შეუკვეთა.

– მე ამ მოხსენებას ყურადღებით გავეცანი! ჩემი აზრით, ნაადრევია დავასკვნათ, რომ მკვლელობა პრინცმა შეუკვეთა, – განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თურქმა მქადაგებელმა გიულენმა, შესაძლოა, აშშ დატოვოს.

– ჩვენ ეს არ გვინდა, – თქვა ტრამპმა.

ცსს-ს დასკვნა ძირეულად ეწინააღმდეგება საუდის არაბეთის ოფიციალური ხელისუფლების პოზიციას, რომელიც ამტკიცებს, რომ ჰაშოგის ლიკვიდაცია ცალკეულ პირთა ინიციატივაა. ეს პირები უკვე დაპატიმრებულნი არიან, ხოლო ოფიციალურ ხელისუფლებას ამასთან საერთო არაფერი აქვს.

პომპეო: „რუსეთის მიმართ სანქციები გაგრძელდება, სანამ ის ყირიმს არ დააბრუნებს“

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კლიმკინი ვაშინგტონში ჩავიდა. ის აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ მიიღო.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა უკრაინა-აშშ-ის ურთიერთობები იყო.

პრესკონფერენციაზე პომპეომ კვლავ დაადასტურა აშშ-ის მხარდაჭერა უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. მან ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვის მიმართ სანქციები გაგრძელდება.

– სანქციები მანამ არ შეწყდება, სანამ რუსეთი უკრაინას ყირიმს არ დაუბრუნებს და დონბასში ომს არ შეწყვეტს! – თქვა პომპეომ.

საუბარი აზოვის ზღვაზე რუსეთის აგრესიულ ქმედებებსაც შეეხო. პომპეომ განაცხადა, რომ რუსეთის საქციელი ვერანაირ ცივილიზებულ ჩარჩოში ვერ ჯდება.

– ჩვენ ამას გადაჭრით ვგმობთ, – ასეთია პომპეოს პოზიცია.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ უკრაინა გამოიკვეთა, როგორც აშშ-ის უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მოკავშირე.

– ჩვენ სტრატეგიული პარტნიორები ვართ! – განაცხადა მან.

გროზნოს გარეუბანში ქალმა თავი აიფეთქა

გროზნოს გარეუბანში პოლიციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე აფეთქება მოხდა.

ამის თაობაზე ჩეჩნეთის შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალმა ალუ-ადდინოვმა განაცხადა.

აფეთქება განახორციელა ქალმა, რომელსაც ასაფეთქებელი მოწყობილობა სხეულზე ჰქონდა. მან ის მოქმედებაში მაშინ მოიყვანა, როცა საბუთები მოსთხოვეს.

აფეთქების შედეგად თავად ქალი დაიღუპა. სხვა არავინ დაზარალებულა.

ინგუშეთის ხელისუფლებამ რეპრესიები დაიწყო

ინგუშეთში აკავებენ აქტივისტებს, რომლებიც მიწების ჩეჩნეთისათვის გადაცემას ეწინააღმდეგებიან.

დაკავებული არიან ბარახ ჩემორზიევი, ახმედ პოგოროვი და სხვები.

პარტია „იაბლოკოს“ ინგუშეთის ფილიალის ხელმძღვანელ რუსლან ინდიევის განცხადებით, ინგუშეთის ხელისუფლებამ რეპრესიები დაიწყო. საპროტესტო აქციებს შლიან. პარალელურად აკავებენ მათ, ვინც ინგუშეთის მიწების ჩეჩნეთისთვის გადაცემას ხელს უშლის.

პუტინი ომისთვის ემზადება?!

პოლონეთის პრემიერმა მორავეცკიმ განაცხადა, რომ პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის განხორციელება ევროპისთვის, შესაძლოა, საბედისწერო გახდეს.

– როგორც კი ხსენებული პროექტი განხორციელდება, რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ინტერვენციას დაიწყებს და კიევის აღებას შეეცდება, – თქვა მორავეცკიმ.

პრემიერის აზრით, ეს რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიან ომს ნიშნავს, რომელიც საერთო ევროპულ ომში გადაიზრდება.

– ამიტომ, თუ ევროპას სურს, ფართომასშტაბიანი ომი თავიდან აიცილოს, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ უნდა დაბლოკოს, – ამბობს მორავეცკი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

გარდაცვლილმა სვირინგის ოსტატმა საკუთარი კანის კედელზე დაკიდება დაიბარა

კანადაში სვირინგების ოსტატის ქვრივმა თავისი გარდაცვლილი მეუღლისთვის კანის იმ ნაწილის აცლა მოითხოვა, რომელზეც ნახატებია განთავსებული, რათა ის შემდეგ კედელზე დაკიდოს. ის ამით მეუღლის ანდერძის ასრულებას აპირებს.

სასკაჩევანის პროვინციის ქალაქ სასკატუნის მკვიდრი კრის ვენზელი 28 ოქტომბერს ძილში წყლულის კოლიტისგან გარდაიცვალა. მისმა მეუღლე შერილი ამტკიცებს, რომ მის ქმარს, რომელიც სვირინგების მხატვარი იყო და საკუთარ სხეულზე უამრავი ნახატი ჰქონდა გაკეთებული, ძალიან უნდოდა, საკუთარი კანი გარდაცვალების შემდეგ შენახულიყო. კრის მკერდსა და ზურგზე გველის უზარმაზარი გამოსახულება ჰქონდა გაკეთებული, რომელიც ორ ფრინველს ებრძვის. მამაკაცს ხელები და ფეხებიც მთლიანად სვირინგებით ჰქონდა დაფარული.

მამაკაცის ასეთი სურვილის გამო მისი დასაფლავება გადაიდო. შერილმა ერთ-ერთი ამერიკული კომპანიის სპეციალისტებს მიმართა და ისინი დაახლოებით სამი საათის განმავლობაში აძრობდნენ კანს მამაკაცის ცხედარს. ფირმის წარმომადგენლების თქმით, მათ ასეთი მასშტაბის შეკვეთაზე მუშაობა პირველად მოუხდათ.

– თქვენ არ დაწვავთ ან მიწაში ჩაფლავთ პიკასოს ნახატებს, ხოლო ზოგიერთი სვირინგი მათ გენიალურობით არ ჩამოუვარდება, – განმარტა კომპანიის დირექტორმა კაილი შერვუდმა. მისივე თქმით, გარდაცვლილის კანის ნაწილს ჩარჩოში ჩასმულს მინის ქვეშ მოათავსებენ. ეს ყველაფერი კი ქალს 80 ათას დოლარამდე დაუჯდება.

შერილმა თანხის შესაგროვებლად კრაუდფანდინგური კომპანია შექმნა, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ 2605 დოლარის შეგროვება მოხერხდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბორჯღალოსნებმა მეჭოქე მეორე ტაიმში გაჭეხეს

საქართველო-სამოა 27:19

მაგარი თამაში მოიგეს ბორჯღალოსნებმა – 16-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ მილთონ ჰეიგის შეგირდებმა სამოას 24 უპასუხო ქულა „მიართვეს“ და მეტოქე აქამდე რეკორდული სხვაობით, 27:19 დაამარცხეს.

ეს იყო ამ გუნდების მეხუთე დაპირისპირება და „მანუ სამოას“ (გულადი სამოა) მესამე სტუმრობა თბილისში. ბორჯღალოსნებმა „გულადებთან“ პირველად აიღეს 27 ქულა, პირველად გაუტანეს 3 ლელო და რაც ყველაზე სასიხარულოა, პირველად შეძლეს ძლიერ მეტოქესთან 16-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა!

საგულისხმოა, რომ ბორჯღალოსნებმა ეს გამარჯვება მნიშვნელოვანი დანაკლისის და გადახალისებული შემადგენლობით მოიპოვეს. მოედანზე 3 დებიუტანტი გავიდა: თედო აბჟანდაძემ სრულად ითამაშა და გუნდს 12 ქულით შეეწია. მას კარში დარტყმებში 100%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა. მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ ბურჯები ბექა გიგაშვილი და გურამ გოგიჩაშვილი, რომელთაც ჩვენების თამაში მნიშვნელოვნად გააძლიერეს და გუნდს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებაში დაეხმარნენ.

50-ე კეპი მოიხვეჭა თამაზ მჭედლიძემ, რომელმაც ეს ფაქტი საუცხოო თამაშით აღნიშნა და ქართული რაგბის ოფიციალური ლუდის, „აისის“ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. პირველი სანაკრებო ლელო გაიტანა 20 წლის გელა აფრასიძემ.

„ავჭალაზე“ გამართული მატჩის წინ გულშემატკივრებმა და მორაგბეებმა საქართველოს ეროვნული ჰიმნი ერთხმად შეასრულეს, რასაც სამოელების ტრადიციული, საბრძოლო ცეკვა „სივა ტაუ“ მოჰყვა.

თამაშის დასაწყისი მძიმე გამოდგა: პირველი ტაიმის 30 წუთი სტუმართა უპირატესობით წარიმართა. სამოა კარგად მომზადებული დაგვხვდა და შერკინებაში დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, ბურთზეც კონტროლი დაამყარა და თანმიმდევრული შეტევებით უპირატესობის ხაზის გადალახვას ახერხებდა.

მანამდე იყო ჯარიმა, რომელიც აბჟანდაძემ უნაკლოდ შეასრულა და ეროვნული ნაკრების მაისურით პირველი 3 ქულა მოიპოვა. სამოამ ხელდახელ შეტევით გვიპასუხა და მარცხენა ფრთაზე მათი იერიშის შეჩერება მოხერხდა, თუმცა ბურთი სწრაფად ჩაიტანეს საპირისპირო ფრთაზე, სადაც მეტობა გამოიყენეს ჯეი'ჯეი ტაულანგიმ ლელო აღამთან გაიტანა, ხოლო ტუსი პისიმ გარდასახა.

აქტიურმა ზურაბ ძნელაძემ ფეხით გადაკიდებული ბურთი რომ მოიხელთა ხაზი გაჭრა, მაგრამ მიყოლამ დააგვიანა და ნოდარ ჭეიშვილის მიძალებას კუნძულელები მომზადებული დახვდნენ, მერე კი ხელდახელ, შექცეული პასებით აქეთ შემოგვიტიეს, ფილო პაულო რაქს ორიგინალურად გადაევლო და მე-17 წუთზე მეორე ლელო გაიტანა. 27-ე წუთზე ბურთი ცენტრალური ხაზის სიახლოვეს დავკარგეთ, აუსი ტუალა 2 მბოჭავს დაუსხლტა და ლელო ძელებს უკან გაიტანა, ხოლო პისიმ გარდასახა და 28-ე წუთზე სამოა 19:3 დაწინაურდა.

ბორჯღალოსნებმა პირველი ლელო 32-ე წუთზე გაიტანეს: ფულბეკად მოთამაშე ლაშა ხმალაძემ ბურთი აუტში გადაიტანა, მოლით შეტევის შემდეგ სტუმრებმა ლელოს სიახლოვეს შეგვაჩერეს, მჭედლიძეს მძლავრი დარტყმის შემდეგ მიზნამდე სანტიმეტრი დააკლდა, საქმეში ლობჟანიძე ჩაერთო და რაქის გვერდით ლელოში შეხტა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჯაბა ბრეგვაძე და ტაულანგი წაკინკლავდნენ, რის გამოც რეფერიმ ორივე სინბინში გაუშვა. ნელ-ნელა თამაშში სათადარიგო მორაგბეები ჩაერთვნენ, თამაში აჩქარდა და სამოა საკუთარ ნახევარზე გამოვკეტეთ. მოლის შემდეგ ლელოს ხაზის გადაკვეთაც მოხერხდა, ბურთის დამიწების ვერა, თუმცა 5-მეტრიან შერკინებას ლელო მოყვა. მჭედლიძის მიძალება სტუმრებმა ამჯერადაც მოიგერიეს, რასაც ახლოდან 2 მიძალება მოყვა და ოთარ გიორგაძემ მეორე ჯერზე ლელო გაიტანა, ხოლო აბჟანდაძემ 62-ე წუთზე ჩამორჩენა 2 ქულამდე დაიყვანა.

ბორჯღალოსნები კიდევ უფრო გახელდნენ, ტემპი კიდევ უფრო გაზარდეს, გიორგი ცუცქირიძემ ხაზი გაჭრა და 22-ის სიღრმემდე მაღალ სიჩქარეზე ირბინა, მორკინალების 10-მდე დარტყმის შემდეგ შალვა სუთიაშვილმა ბურთი აფრასიძეს გაუტანა, რომელმაც ბოჭვა აირიდა, ლელოში შეხტა და დაგვაწინაურა, ხოლო აბჟანდაძეს ესეც გარდასახა – 24:19. 73-ე წუთზე თედომ კარის წინ 40 მეტრიდან ჯარიმით მორიგი 3 ქულა აიღო, დასკვნით წუთებში მეტოქის მძლავრი მიძალებები მოვიგერიეთ და ბორჯღალოსნებმა ამ გამარჯვებით სამოელებთან ურთიერთშეხვედრების ბალანსი კიდევ უფრო უკეთესი გახადეს – 3 მოგება, 1 ფრე და 1 მარცხი.

ქუთაისი და ბათუმი გალიდერდნენ

დინამო-ქუთაისი 68:79
(16:24, 16:18, 16:19, 20:18)

გასული სეზონის ჩემპიონისა და ვიცეჩემპიონის დაპირისპირება იმერული კლუბის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა – 79:68. დინამოელებმა პირველი ტურის მატჩი ტიტებთან დიდი სხვაობით წააგეს და ამ მარცხის შემდეგ ცხრილის ფსკერზე დაეშვნენ, ქუთაისი კი ცხრილში გალიდერდა.

თამაშის სასურველი შედეგით დასრულება ქუთაისელებს არ გასჭირვებიათ. პირველივე წუთებზე რომ მოიპოვეს უპირატესობა, ლიდერობას თამაშის ბოლომდე ინარჩუნებდნენ. ერთადერთი, შეხვედრის დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე შემცირდა სხვაობა 6 ქულამდე, ისე კი სტუმართა ლიდერობა უმეტესად ორნიშნა ციფრით გამოიხატებოდა, ხანგამოშვებით კი თითქმის 20-მდეც აღწევდა..

გამარჯვებულ ქუთაისელებს ამერიკელმა ლეგიონერმა დეჟან რაითმა ულიდერა, რომელმაც 21 ქულა მიითვალა. 13 ქულა დააგროვა აკაკი დვალიშვილმა, ხოლო ჯონათან ლიმ და ტერენს ტომპსონმა თავი 11-11 ქულას მოუყარეს. ტომპსონმა 12 მოხსნაც მიითვალა და მატჩის ერთადერთი მოთამაშე გახდა ორმაგი დუბლით. დინამოში 20 ქულით მიხეილ ჭოჭუა გამოირჩა, 15 ქულა კი ჯორდან სვოპშირის ანგარიშზეა.

ბათუმი-კაკტუსი 89:85
(24:23, 19:19, 27:22, 19:21)

ორივე გუნდს პირველი ტურის მატჩები მოგებული ჰქონდა: ბათუმმა რუსთავს სძლია, ხოლო კაკტუსმა – ოლიმპს. გუნდებმა საკმაოდ საინტერესო ბრძოლა გააჩაღეს, რომლის გამარჯვებულიც ბოლო წუთზე გამოვლინდა. მასპინძლებმა საწყისი პერიოდი 1 ქულით მოიგეს, თუმცა შემდეგ 10-ქულიან ლიდერობას დაეპატრონნენ. კაკტუსი არ ტყდებოდა და ძირითადად ზუსტი შორი სროლებით მასპინძლებს იმედიანად ყოფნის საშუალებას არ აძლევდა.

ბოლო პერიოდში თბილისურმა გუნდმა მოახერხა თამაშის გათანაბრება, ხოლო ჩამორჩენა ბოლოსწინა წუთზე 2 ქულამდე შეამცირა. გადამწყვეტი სიტყვა ნოდარ გოგოძემ და შონ ჰილმა თქვეს, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი ბურთები ჩააგდეს და ბათუმს გამარჯვება გაუნაღდეს – 89:85.

სწორედ გოგოძემ (24 ქულა) და ჰილმა (16) ულიდერეს მასპინძლებს. სტეფან ანდრეევიჩმა შეხვედრა ორმაგი დუბლით – 14 ქულით და 13 მოხსნით დაასრულა. კაკტუსში 18-18 ქულით ბრაიან გლასფორდი და ჯალენ მაკგაუჯი გამოირჩნენ. ბექა ჩიკვილაძის ანგარიშზე 17 ქულა დაგროვდა.

დელტა-რუსთავი 86:79
(25:21, 24:26, 24:17, 13:15)

დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებულმა დელტამ სუპერლიგა მგზავრებთან მარცხით დაიწყო, თუმცა რეაბილიტაცია მალე მოახდინა და რუსთავთან გამარჯვება მოახერხა.

ქვემოქართლელებისთვის ეს წაგება მეორეა და რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილი გუნდი დინამოსთან ერთად ჯერჯერობით სუპერლიგის აუტსაიდერია. არადა, რუსთაველებს მოგების შანსი ჰქონდათ, თუმცა მესამე პერიოდში საქმეები აერიათ, რითაც დელტამ ისარგებლა და ძირითადად არტიომ შვეცის სამქულიანებით გაქცევა მოაწყო. შედეგად, ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდის ლიდერობამ 10 ქულას გადააჭარბა, რაც მანამდე თანაბრად მიმდინარე თამაშისთის საკმაოდ სოლიდური უპირატესობა გამოდგა.

დელტამ ბოლომდე შეინარჩუნა მოპოვებული უპირატესობა და სუპერლიგაში პირველ გამარჯვებას მიაღწია. გუნდს 21 ქულითა და 9 მოხსნით შვეცმა ულიდერა. 17 ქულა და 14 მოხსნა ბექა ბექაურის ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო მალკოლმ დრამრაითმა დელტელებს 16 ქულა მიაშველა. რუსთავში დომინირებდა რუდოლფ ჯოლი, თუმცა მისი 32 ქულა და 13 მოხსნა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

შსს აკადემია-ტიტები-ოლიმპი 70:93
(16:23, 19:19, 16:29, 19:22)

ოლიმპმა მეტოქეს დამაჯერებლად მოუგო – 93:70. შეხვედრაში მხოლოდ პირველი პერიოდის საწყისი ნაწილი იყო დაძაბული, რომელიც ოლიმპის გამარჯვებით – 23:16 დასრულდა. ოლიმპელთა ყველა რგოლი შესანიშნავად თამაშობდა. წინა ხაზში, ფარქვეშ, მარკ ოგდენი გაბატონდა, რომელსაც კარგად აშველებდა ხელს ნიკა დარბაიძე, ხოლო უკანა ხაზში ტრე ბენეტი და დარეონ რედიკი სისწრაფეშიც და სიზუსტეშიც აშკარად ჯაბნიდნენ ოპონენტებს.

გარდატეხა მესამე მეოთხედში მოხდა, რომელიც ოლიმპელებმა 29:16 მოიგეს და ბოლო ათწუთეულის წინ 20 ქულით გალიდერდნენ. საბოლოოდ მატჩი ისე ჩამთავრდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

გამარჯვებულებს ამერიკელმა ლეგიონერებმა – ტრე ბენეტმა და მარკ ოგდენმა ულიდერეს. პირველმა 19 ქულა, 10 პასი და 5 მოხსნა მიითვალა, ხოლო ოგდენის ანგარიშზე 18 ქულა, 14 მოხსნა და 6 პასი დაგროვდა. 17 ქულა და 7 მოხსნა ჰქონდა დარეონ რედიკს, ხოლო ნიკა დარბაიძე ოლიმპელებს 14 ქულით და 6 მოხსნით შეეშველა. ტიტებში 18 ქულით და 7 მოხსნით ბესო ლეჟავა გამოირჩა, ჟოელ ალმეიდას ანგარიშზე კი 16 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა.

თსუ-ჰიუნდაი-მგზავრები 79:77
(17:18, 16:21, 29:19, 17:19)

თსუ-ჰიუნდაიმ ბოლო წუთზე 2 ქულის სხვაობით – 79:77 დაამარცხა მგზავრები. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და მისი ბედი ბოლო წამებზე გაირკვა. ყველაფერი ორმა შეტევამ გადაწყვიტა, რომელიც მგზავრების კალათბურთელებს გაუცუდდათ, ხოლო თსუ-ჰიუნდაიმ – იხეირა.

ბოლო წუთი რომ დაიწყო, ანგარიში თანაბარი გახლდათ – 77:77. თსუ-ჰიუნდაელებმა მეტოქეს ბურთი ჩაუჭრეს, რის შემდეგ მათი სერბი ცენტრი რატკო პეტრიჩი საჯარიმოს ხაზზე დადგა და 2-დან 1 სროლა ჩააგდო.

ქულით ჩამორჩენილ მგზავრებს შესატევად 24 წამი ჰქონდათ და გათანაბრების კარგი შანსიც მიეცათ, თუმცა მათმა სნაიპერმა რეზო ჩაჩანიძემ 3-ქულიანი ააცილა, რომელიც პეტრიჩმა მოხსნა და კვლავ საჯარიმოს ხაზზე მოუხდა დადგომა. სერბმა ცენტრმა ამჯერადაც 1 საჯარიმო ჩააგდო და თსუ-ჰიუნდაი 79:77 დააწინაურა. დარჩენილ 6 წამში ამერიკელმა ადრიან ბოუიმ კი შეუტია, მაგრამ დროში ვერ ჩაეტია და შეხვედრა დასრულდა.

გამარჯვებულებს 19 ქულით და 13 მოხსნით გიორგი კორსანტიამ ულიდერა. 16 ქულა დააგროვა რატკო პეტრიჩმა, 16 – სანდრო სანაძემ, ხოლო ჯეიმს მილიკენის ანგარიშზე 13 ქულა და 8 პასი დაგროვდა. მგზავრებში 25 ქულით, 6 მოხსნით და 5 პასით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი, რევაზ ჩაჩანიძის ანგარიშზე კი 19 ქულა დაგროვდა.

ესპანური პრესა და ჩაკვეტაძე განუყოფელნი გახლნენ

ესპანური მედია გიორგი ჩაკვეტაძის სტატიებით არის აჭრელებული. ჩვენებურის შესახებ ამჯერად ერთ-ერთი ყველა გავლენიანი გამოცემა მარკა წერს. მათი ცნობით, ჩაკვეტაძის მიმართ მიუნხენის ბაიერნის ინტერესი არ წყდება. მოგეხსენებათ, როდესაც ჩაკვეტაძე თბილისის დინამოში თამაშობდა, რეკორდმაისტერი მაშინაც ცდილობდა ამ ფეხბურთელის დამატებას.

ქართველი ტალანტის მსურველთა რიგში მხოლოდ ბარსელონა და ბაიერნი არ არიან. მისი სამსახურით ასევე ტოტენჰემი და დონეცკის შახტარიც ინტერესდებიან.

– პირველი, ვინც ჩაკვეტაძეს თვალი დაადგა, მიუნხენის ბაიერნი იყო და თბილისის დინამოს 6 მილიონი ევროც შესთავაზა, მაგრამ დააგვიანდათ – ბელგიურ გენტს ქართველ ფეხბურთელთან კონტრაქტი უკვე გაფორმებული ჰქონდა. არადა, ბელგიელებს ეს ტრანსფერი მხოლოდ ნახევარი მილიონი ევრო დაუჯდათ.

ეს გადაწყვეტილება ჩაკვეტაძისთვის იდეალური იყო. ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ. გასულ სეზონში არ უწევდა რეგულარულად თამაში, თუმცა ახლა ძირითადის მოთამაშეა. 29 თამაშში 4 გოლი გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა შეასრულა. ის არ არის ტიპური დაბალი ნახევარმცველი, მხოლოდ ტექნიკური მონაცემებითა და მოედნის ხედვით. ის 1.83 მეტრი სიმაღლისაა, რაც სხვა ფეხბურთელებთან შედარებით უპირატესობას აძლევს. მას შეუძლია ბურთი მიიღოს და ისე გაიქცეს, რომ მისი შეჩერება ვერავინ მოახერხოს. მოედანზე ფანტასტიკურად გადაადგილდება. მისი ლიდერობით გუნდმა ცუდი პერიოდი გადალახა, ჩაკვეტაძე მოედანზე კარგ გადაწყვეტილებებს იღებს და რეგიონში ერთ-ერთ საუკეთესო მეპასედ ყალიბდება.

გიორგის ფლეიმეიქერის პოზიციაზე უყვარს თამაში, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც მარცხენა ფლანგზე, ვინგერის პოზიციაზეც ითამაშა. მას მარჯვენა ფეხი ძლიერი აქვს, როდესაც სახით მცველების წინ დგას, შეუძლია დაარტყას და გაიტანოს.

ჯერ კიდევ 19 წლისაა, რაც მას კიდევ უფრო მოთხოვნადს ხდის. ჯერ კიდევ აქვს ხარვეზები, ხშირად ათრევს ბურთს, როდესაც პასის მიცემა სჯობს და მარცხენა ფეხით თამაში უჭირს.

თუმცა, ამ ტალანტმა ბელგიის ჩემპიონატში თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. ბარსელონა არ არის ერთადერთი კლუბი, რომელიც ქართველს აკვირდება: ინგლისიდან ისეთი კლუბების ინტერესის ობიექტია, როგორიც ბორნმუთი ან ტოტენჰემია, მის შეძენას ასევე დონეცკის შახტარი და მიუნხენის ბაიერნი ცდილობენ.

ვლადიმირ ვაისი: „ახლა ექსპერიმენტების დრო არ არის“

დღეს საქართველოს ნაკრები ერთა ლიგის დასკვნით ტურში ყაზახეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ამ მატჩს ჩვენი ნაკრებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მართალია, ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებულია, მაგრამ საჭიროა, საუკეთესო პირველი ადგილით გავიდეთ, რათა შესარჩევ ეტაპში მე-4 კალათაში მოვხვდეთ, პლუს ფლეი ოფის მატჩს თბილისში ვუმასპინძლოთ.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა ისაუბრა.

ვლადიმირ ვაისი:

– პირველი ადგილი ჯგუფში უკვე განაღდებული გვაქვს, მაგრამ მნიშვნელოვანი თამაშია, გვსურს, რომ დივიზიონში საუკეთესო შედეგი ვაჩვენოთ. ცვლილებები ნამდვილად იქნება. გიორგი ნავალოვსკი ნამდვილად ვერ ითამაშებს. დღევანდელი მონაცემებით, ბოლომდე მზად არ არის ბაჩანა არაბულიც, ხოლო სხვა ფეხბურთელები ყველანი მზად არიან. თუმცა, ცვლილებები შემადგენლობაში ტრავმების გარეშეც იქნება.

ანდორაში თამაში ადვილი არაა. შეტევის ხაზში გეგმა ვერ შევასრულეთ. სამწუხაროა, რომ ისეთი გოლი გავუშვით, რომელიც მეკარის შეცდომის გავიდა. საბოლოოდ, შეტევაში ცუდი თამაში გახდა იმის მიზეზი, რომ ქულები დავკარგეთ. თუმცა, ეს უკვე წარსულია და ვეცდებით, რომ ყაზახეთთან კარგი თამაში ვაჩვენოთ და მოვიგოთ.

მოხარულები ვართ, რომ საწყის 4 ტურში მოვიპოვეთ პირველი ადგილი, მაგრამ ეს მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. რაც შეეხება ექსპერიმენტებს შემადგენლობაში, ანდორაში ჩატარებული მატჩისგან განსხვავებით, ახლა არ გვაქვს ამის უფლება, რადგან ისედაც ბევრი ფეხბურთელი გვაკლია ტრავმის გამო და მოედანზე მოცემულ ვითარებაში საუკეთესო ფეხბურთელები გავლენ.

ანდორასთან გვაკლდნენ ჯაბა კანკავა და გურამ კაშია. ჯაბას ჯანმრთელების პრობლემა ჰქონდა და სამედიცინო შტაბი ყველაფერს აკეთებს, რომ ყაზახეთთან შეხვედრაში მოედანზე გავიდეს. თუმცა, ამ ეტაპზე ეს გადაწყვეტილი არ არის.

შედეგები

17 ნოემბერი

ფეხბურთი

უეფას ეროვნული თასი

იტალია-პორტუგალია	0:0
თურქეთი-შვედეთი	0:1
სერბეთი-ჩერნოგორია	2:1
ალბანეთი-შოტლანდია	0:4
რუმინეთი-ლიტვა	3:0
აზერბაიჯანი-ფარერები	2:0
მალტა-კოსოვო	0:5

აფრიკის ეროვნული თასი

კომორი-მალავი	2:1
სეიშელი-ლიბია	1:8
უგანდა-კაპო ვერდე	1:0
ს.აფრიკა-ნიგერია	1:1
ნამიბია-გვინეა ბისაუ	0:0
გაბონი-მალი	0:1
ეკ.გვინეა-სენეგალი	0:1
გამბია-ბენინი	3:1

ესპანეთი. სეგენდა დივიზიონი

მალაგა-ხიმნასტიკი	2:0
ოსასუნა-ტენერიფე	2:0
რეუსი-ესტრემადურა	1:4
სარაგოსა-მალიორკა	2:2
ოვიედო-ხიხონი	2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ისლანდიის პრეზიდენტი ჰავაური პიცასთან დამარცხდა

ისლანდიის პრეზიდენტმა გვიუდნი იოუჰანესსონმა ანანასებიანი პიცის წინაშე საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულების გამო ოფიციალურად მოიბოდიშა.

მან აღიარა, რომ ე.წ. ჰავაური პიცის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით ძალიან შორს შეტოპა. ამავე დროს, იოუჰანესსონმა აღნიშნა, რომ ვერაფრით მოახერხა მისი შეყვარება იმ დროის განმავლობაში, რომელიც მისი სკანდალური განცხადების მომენტიდან გავიდა.

მან ალტერნატივის სახით ამ კერძში ზღვის პროდუქტების დამატების წინადადება წამოაყენა.

– მე უპირატესობას ზღვის პროდუქტებიან პიცას ვანიჭებ და თქვენც გირჩევთ. როგორც ცნობილია, ისლანდია მეზღვაურების ერია, სწორედ ამიტომ პიცაში ზღვის პროდუქტების დამატებას გირჩევთ, – განაცხადა ისლანდიის პრეზიდენტმა.

პეტერბურგში სპირტის მდინარე აღმოაჩინეს

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მდინარე ნოვაიას წყლის სინჯებმა მასში ეთილის სპირტის შემცველობა ნორმაზე 5,4 ათასჯერ მეტი აჩვენა.

ეთანოლის გარდა, სხვა ნივთიერებების შემცველობა ნორმას მნიშვნელოვნად აჭარბებს. ეთილენგლიკოლის კონცენტრაცია მდინარეში დაშვებულს 640-ჯერ აღემატება, იზოპროპილის სპირტის – 5,4-ჯერ, ბუტილოვის სპირტის – 17,7-ჯერ, აცეტონის – სამჯერ. სანკტ-პეტერბურგის სატრანსპორტო გამოძიების განყოფილებამ დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მდინარის დაბინძურებაში ეჭვმიტანილია პულკოვოს აეროპორტი და კიდევ სამი იურიდიული პირი, რომლებიც მდინარის წყლის მომხმარებლები არიან.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ჯერ კიდევ ივლისში ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა იუწყებოდა მდინარე ნოვაიაში იხვების დაღუპვის შესახებ. სოციალურ ქსელებში გავრცელდა დახოცილი ფრინველების ფოტოსურათები, რომლებიც ერთ-ერთ კოლექტორთან აღმოაჩინეს.

მამაკაცმა, რომელიც ვერ იღიმება, იმავე პრობლემების მქონე ქალი იპოვა

მამაკაცმა და ქალმა, რომლებიც უიშვიათესი ანომალიით დაიბადნენ და რომელიც მათ გაღიმების საშუალებას არ აძლევს, ნიშნობის თაობაზე განცხადება გაავრცელეს.

45 წლის ბრიტანელ ალექს ბარკერსა და 38 წლის ამერიკელ ერინ სმიტს მებიუსის სინდრომი აქვთ, რომელიც სახის ნერვის დამბლას იწვევს. ამ დაავადების გამო ისინი სახის გამომეტყველების შეცვლას ვერ ახერხებენ. გარდა ამისა, მებიუსის სინდრომი მეტყველებას, წუწნასა და ყლაპვას აფერხებს. ასევე მისი თანხვედრი შეიძლება აღმოჩნდეს ანატომიური ანომალიები და ჯანმრთელობის სხვა პრობლემები.

ითვლება, რომ მსოფლიოში ასეთი დაავადება ოთხი ათასამდე ადამიანს აწუხებს. ბარკერმა და სმიტმა ერთმანეთი მებიუსის სინდრომის მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილი სპეციალური ვებგვერდის წყალობით გაიცნეს. ოთხი პაემნის შემდეგ ისინი დაინიშნნენ და ბავშვების გაჩენაზე ფიქრობენ. სპეციალისტის აზრით, რომელსაც წყვილმა კონსულტაციისთვის მიმართა, მათი შვილები, შესაძლოა, სრულიად ნორმალურები დაიბადონ.

ბარკერმა აღიარა, რომ მიმიკის უქონლობის გამო საცოლის გრძნობების გაგება ადვილი არ არის.

– ვხედავ, როდის არის ერინი ბედნიერი, ვინაიდან ასეთ დროს ის თავს გვერდით ხრის და ამბობს: „უ-უ-უ“, – აცხადებს ბარკერი. მისი თქმით, მათ ერთმანეთის ჩვევები იციან და ამიტომ უსიტყვოდაც ესმით ერთურთის.

ლომებმა კამეჩი პირდაპირ გზაზე დაგლიჯეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ლომების გარეულ კამეჩზე თავდასხმის თვითმხილველნი გახდნენ.

ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით. ლომმა შენიშნა სამი კამეჩი, რომლებიც მდინარის ნაპირთან ბალახობდნენ. ის და მისი თანამოძმეები ერთ-ერთ კამეჩს გაეკიდნენ. მტაცებლები მას იმ დროს წამოეწივნენ, როდესაც ის უკვე მანქანის სავალ ნაწილზე იყო გამოსული. მსხვერპლის გარშემო მთელმა პრაიდმა მოიყარა თავი, ბოკვერების ჩათვლით.

– კამეჩი ბოლო მომენტამდე ცდილობდა ლომების მოგერიებას, – ამბობს ვიდეოს ავტორი, – სიცოცხლის გადარჩენისკენ ასეთი სწრაფვა აქამდე არასოდეს მინახავს. ამ ყველაფრის ყურება მეტად ძნელი იყო.

მაიმუნმა ახალშობილი მოიპარა და დაგლიჯა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ აგრაში მაიმუნმა ახალშობილი მოიტაცა და მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ცხოველი ინდოელის სახლში შევიდა და დედას 12 დღის ახალშობილი იმ დროს გასტაცა, როდესაც ის ბავშვს ძუძუს აჭმევდა. ქალი მას გაეკიდა. მას სხვა ახლობლებიც შეუერთდნენ. ისინი შეეცადნენ, მაიმუნი საჭმლით მიეტყუებინათ, მაგრამ ის სახურავზე აძვრა და გაიქცა.

როდესაც ახალშობილი მეზობელი სახლის სახურავზე იპოვეს, ის უკვე მკვდარი იყო.

– მაიმუნმა ბავშვს თავზე უკბინა და მიაგდო, როდესაც მას ხალხი ჯოხებისა და ქვების სროლით დაედევნა, – განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა, – დასისხლიანებული ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მისი გარდაცვალება დააფიქსირეს.

მშობლებმა ბავშვი სხვა საავადმყოფოში წაიყვანეს, თუმცა იქაც იგივე პასუხი მიიღეს.

ლატარიის სიყვარულმა ქალს მეორე მსხვილი მოგება მოუტანა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამის მკვიდრმა ლატარიაში მეორედ მოიგო დიდი თანხა.

63 წლის მელოდი მაიზელმა 500 ათასი დოლარი მოიგო ლატარიის ბილეთით, რომელიც ავტოგასამართ სადგურზე ხუთ დოლარად შეიძინა.

მოგების მისაღებად მას ქალაქ ტალაჰასში მდებარე ლატარიის გათამაშების შტაბ-ბინაში მოუწია მისვლა, სადაც ორი წლის წინ სხვა პროზო გადასცეს. მაშინ მან ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო.

განაწყენებულმა გოგონამ 50 ათასი დოლარი პლასტიკურ ოპერაციებში დახარჯა

შვეიცარიელმა გოგონამ, რომელსაც ბავშვობაში თავისი გარეგნობის გამო დაცინვის გადატანა უხდებოდა, 50 ათასი დოლარი პლასტიკურ ოპერაციებზე დახარჯა.

24 წლის ციურიხელი სელინ ჩენტინოს თქმით, მას ბავშვობაში გადატანილმა დაცინვამ ცხოვრება გაუმწარა.

– მინდოდა, რომ ისევ ბედნიერი ვყოფილიყავი, ამიტომ საკუთარი გარეგნობა და ყველაფერი ის, რაც ჩემს თავში არ მომწონდა, შევცვალე, – განაცხადა გოგონამ, – ჩვენ იმ დროში ვცხოვრობთ, როდესაც ის, რაც არ მოგწონთ, შეგიძლიათ, შეცვალოთ და მეც ამ შანსით ვისარგებლე.

ჩენტინო სილამაზის სალონში სტილისტად მუშაობდა და გამომუშავებულ ფულს პლასტიკური ოპერაციისთვის აგროვებდა. 2013 წელს მან პირველად მიმართა პლასტიკურ ქირურგს. მას შემდეგ გოგონამ ცხვირის, ლოყების, ტუჩებისა და ნიკაპის ფორმის შესაცვლელად გაიკეთა ოპერაციები, ხოლო მკერდი სამჯერ გაიდიდა.

გოგონას მტკიცებით, მას სხვადასხვა აზრი აქვს მოსმენილი საკუთარი გარეგნობის ცვლილებაზე. ნაწილს მისი გარდასახვა მოსწონს, სხვები კი ფიქრობენ, რომ მეტისმეტი მოუვიდა.

ტუალეტში შესვლის მსურველ ამერიკელს ბრალად აფეთქების მუქარა დასდეს

რესტორნის აფეთქების მუქარისთვის დაპატიმრებულმა ამერიკელმა განაცხადა, რომ მას, უბრალოდ, ტუალეტში შესვლა სურადა და საკუთარი სურვილის ასახსნელად არასწორი ფორმა აირჩია.

ინციდენტი ლუიზიანის შტატის ქალაქ ახალ ორლეანში მოხდა. 30 წლის არტურ პოუზი ფასტფუდის ერთ-ერთ რესტორანში შევიდა. დაწესებულების თანამშრომლების თქმით, მათ ღანძღვა დაუწყო და შენობის აფეთქებით დაემუქრა. მათ ამის გამო პოლიცია გამოიძახეს და მამაკაცი დააპატიმრეს.

პოუზიმ პოლიციელებს განუცხადა, რომ რესტორნის თანამშრომლებმა მისი ნათქვამი არასწორად გაიგეს. მან მართლაც თქვა, რომ ტუალეტში ბომბის შეგდებას აპირებდა, თუმცა ამ დროს იქ ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შესვლის სურვილს გულისხმობდა. მან ასევე განაცხადა, რომ იმის გამო, რომ ტუალეტში შესვლა ძალიან უნდოდა, ნერვიულობდა და ყვიროდა.

თუმცა რესტორნის მენეჯერმა აღნიშნა, რომ დაკავებულს თავისი მუქარის დროს სიტყვა „ტუალეტი“ არ გამოუყენებია. მისი თქმით, პოუზი დაწესებულების სამზარეულოში შევიდა და იქ მყოფ თანამშრომლებს ჰკითხა, თუ როდის ასრულებდა მუშაობას დაწესებულება. როდესაც ერთ-ერთმა უპასუხა, რომ არ იცოდნენ, მან განაცხადა, რომ დაწესებულება სასწრაფოდ დაეხურათ, ვინაიდან იქ ბომბის შეგდებასა და ამ ადგილის აფეთქებას აპირებდა. მენეჯერმა ამის გამო პოლიცია გამოიძახა.

პოლიციამ გადაწყვიტა, პოუზი ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გადააგზავნოს და სასამართლოს სხდომა მხოლოდ ამის შემდეგ დაინიშნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხდი



1 ექსპრომტად თქმული ლექსი; 2. ქიმიური ელემენტი; 3. ფუტკრის „სახლი“; 4. რისკენაც მიისწრაფვიან; 5. ... არდანი; 6. სამხედრო წოდება ანუ...; 7. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი; 8. რუსეთის საფეხბურთო გუნდი; 9. „ფორსაიტების ...“; 10. ნუშისებრი ჯირკვლის ანთება; 11. ნაბიჯი ცეკვაში; 12. ადამიანის თავსაკვეთი მანქანა (ძვ.); 13. დედმამიშვილი; 14. სანელებელი; 15. ფრანგ მეფეთა ხშირი სახელი; 16. დაკოდილი ცხენი; 17. ტაბლეტი; 18. შალის მჭიდრო ქსოვილი; 19. კაცის სასიმღერო ხმა; 20. მსახური მართლმადიდებელ ეკლესიაში; 21. ზრდადაუსრულებელი დედალი; 22. მწუხარების, ტკივილის გამომხატველი შორისდებული; 23. ჭაობის მცენარე; 24. მახრჩობელა გველი; 25. საყანედ გაკაფული ტყე; 26. მოსწავლის მაგიდა სკამითურთ; 27. ფრანგი ინჟიერი და მეცნიერი (1785-1836); 28. პატარა ტანის კენგურუ; 29. ქალაქის თავი; 30. ერთ-ერთი ფერი; 31. ... კუინჯი; 32. ბგერის გრაფიკული ნიშანი; 33. მარცვლოვანთა ოჯახის ბალახი; 34. ფრე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფაგი; 2. ხირსა; 3. არაყი; 5. ზარაფი; 6. ტაშკენტი; 9. ივანიშვილი; 10. ცოლიკაური; 11. რენესანსი; 14. ფრი; 16. ბეკინა; 18. „აიდა“.

თარაზულად: 1. ფრახტი; 4. რუზველტი; 7. პრუსია; 8. ყარსაღი; 12. „ვალიო“; 13. ოფორტი; 15. „ლინატე“; 17. თვე; 19. მანდარინები; 20. სიმდი; 21. იამაჰა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გუდაური; 2. ალილო; 3. ბაიადერა; 4. უოტსონი; 5. გარპაგონი; 9. კიტელი; 12. დუაიენი; 14. კოპოლა; 15. პეეო; 17. კუსტო; 18. არია.

თარაზულად: 6. ჯუღელი; 7. ვალტორნა; 8. ბაზელი; 10. ლონჟა; 11. ვინჩესტერი; 13. აკროპოლი; 16. კულაკი; 19. რენეგატი; 20. მაჭახელა.

ასტროპროგნოზი 19 ნოემბრისათვის

ვერძი – ერიდეთ ქალაქიდან გასვლას, განსაკუთრებით – მანქანით. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში. **კურო** – საქმის გარჩევები, კამათი და სტრესი არ აგცდებათ, თუმცა მაინც ყველაფერი თქვენს მოთმინებაზეა დამოკიდებული. **ტყუპები** – ნებისმიერი წამოწყება საეჭვოა. არ არის გამორიცხული, დაუფიქრებელ ნაბიჯს სავალალო შედეგი მოჰყვეს. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია, მაგრამ, თუ არ იზარმაცებთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე უნდა წახვიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი არ აგცდებათ. **ქალწული** – პრიორიტეტების შეცვლა მოგიწევთ. ქალებს სასიამოვნო შეხვედრა გელით. **სასწორი** – ბედი საჩუქარს გიმზადებთ, რომელიც, სავარაუდოდ, ფინანსებს უკავშირდება. ეჭვიანობა უკუაგდეთ. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **მშვილდოსანი** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – კონფლიქტური დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. არანაირი შეხვედრა არ დაგეგმოთ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოლდაში ათასწლოვანი ტაძარი აუზად არის ქცეული



ფოტოხელოვანი კუკური მეტრეველი მთელ საქართველოში მოგზაურობს და უძველეს ქართულ კულტურულ ძეგლებს ფირზე ასახავს.

ფოტოხელოვანმა ჯოლდაში კლდესთან არსებული მომცრო ტაძრის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც დღეს აუზად და ნაკვეთების სარწყავად არის გადაქცეული:

– წინასაარჩევნოდ ისედაც დაძაბულებისთვის არ მინდოდა ხასიათის კიდევ უფრო გაფუჭება, მაგრამ მეტხანს ვეღარ შევძელი ამ უკეთურობის მოთმენა და არგამხელა.

ჯოლდაში ეს ორიგინალური კლდე ადრეც მაქვს ნანახი. გამოვაქვეყნე კიდეც სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ზედ წამოზრდილ ვაზთან ერთად. თავისი ორიგინალური ფორმებისა და სტრუქტურის გამო კლდე შორიდანვე იპყრობს ყურადღებას.

ბუნებრივი ძეგლი აღმოსავლეთის მხრიდან კერძო მესაკუთრის შემოღობილ ეზოშია მოქცეული და ზედ ვეებერთელა ვაზია გადაჩაჩხული. ზაფხულში როცა იგი გაფოთლილია, მთლიანად ფარავს წინა მხარეს და არც კი მიფიქრია, რომ სამხრეთის და აღმოსავლეთის მხრიდან კლდის ძირში მომცრო სალოცავი იქნებოდა გამოკვეთილი, დასავლეთის მხრიდან თაღითა და ჩრდილოეთით მცირე ნიშით.

როგორც კითხვა-კითხვით გავარკვიეთ, 20-25 წლის წინათ ამ სალოცავთან მისვლა ყველას შეეძლო და ბევრი სანთელსაც უნთებდა. საკოლმეურნეო წყობილების მოშლისა და მიწების კერძო საკუთრებად დანაწილების შემდეგ ამ კლდის მიმდებარე ტერიტორია ერთი ნაქალაქეველი მოსახლის კერძო საკუთრება გახდა, რომელმაც შემოღობა ნაკვეთი და ტაძარიც შიგ მოაყოლა. „გონიერ“ მეპატრონეს „გასაოცარი გამომგონებლური ნიჭი“ აღმოაჩნდა და უფლისა და ხატის უშიშრად სალოცავის ორივე შესასვლელის წინ რკინაბეტონით პატარა კაშხლები ამოაშენა, რითაც წმინდა სალოცავის შიდა სივრცე წყლის შესაგროვებელ აუზად გადააქცია! შორიახლოდან მილებით წყალი მოიყვანა, „აუზში“ ჩაუშვა და ყოველ ზაფხულს ეკლესიაში ნაგროვები წყლით დაიწყო ნაკვეთის რწყვა.

არ ვიცი, საიდან შეიტყო ამ სამარცხვინო ამბის შესახებ მამა შალვამ, რომელმაც დიდი წუხილით შემომჩივლა და ამ გასაკვირალი ცოდვის ადგილზე მიმიყვანა.

ჯოლდასთან ათასწლოვანი მომცრო ტაძარი დღესაც სანახევროდ ისევ წყლითაა სავსე და სამუდამოდ „დახრჩობისგან“ გადამრჩენელს ელოდება!

ნუცა ბუზალაძემ და გრიგოლ ყიფშიძემ დუეტი ჩაწერეს

მომღერლებმა ნუცა ბუზალაძემ და გრიგოლ ყიფშიძემ დუეტი ჩაწერეს. სიმღერა „ბრავო რექროდსში“ ჩაიწერა. ნუცამ ინტერნეტში დუეტის მცირე ნაწყვეტი გაავრცელა.

სპეციალურად მათთვის ქართულენოვანი სიმღერა კომპოზიტორმა დავით არჩვაძემ დაწერა.

ნუცა ბუზალაძისა და გრიგოლ ყიფშიძის დუეტი ნუცას ალბომში შევა, რომელსაც მომღერალი უახლოეს პერიოდში გამოუშვებს.

უჩა კორძაია სიმსივნეს ებრძვის

მუსიკოსი უჩა კორძაია სიმსივნეს ებრძვის. მისი მეგობრების ინფორმაციით, მკურნალობა საკმაოდ ძვირადღირებულია, რის გამოც ხელოვანს საზოგადოების დახმარება სჭირდება.

– უჩა ებრძვის უვერაგეს დაავადებას და გადაწყვეტილი აქვს მისი დამარცხება. ეს ბრძოლა მოითხოვს წოლით რეჟიმსა და ძვირადღირებულ მედიკამენტებს, რომელთა შეძენა დამოუკიდებლად შეუძლებელია. უჩა დღესაც სავსეა მსმენელის გულის გახარების სურვილით. დავეხმაროთ მას, დაუბრუნდეს საყვარელ საქმიანობას, – აცხადებენ მუსიკოსის მეგობრები.

უჩა კორძაიას დასახმარებლად სპეციალური ანგარიში ქართუ ბანკშია გახსნილი.

დემნა გვასალია: „სიმბოლო ჩანთებზე ტრანსგენდერებისთვისაა“

დემნა გვასალიას კოლექციები სულ უფრო პოპულარული ხდება. დიზაინერისთვის თემები ამოუწურავია. ბოლო პერიოდში დემნამ ბალენსიაგას კოლექციაში ლგბტ დროშა და სიმბოლოები გამოიყენა, ჩანთებზე გამოსახული სიმბოლოები კი ტრანსგენდერებს მიუძღვნა.

დემნა გვასალია:

– სიმბოლო ჩანთებზე ტრანსგენდერებისთვისაა. ვცდილობ, გამოვიყენო მესიჯები, რომელთა გავრცელებაც მნიშვნელოვანია. ეს თითქმის იდეის, ამ ძალიან ძლიერი სიმბოლოს რეკლამირებას ჰგავს. ლგბტ დროშა და სიმბოლოები ბალენსიაგას რესორტ კოლექციაშიც შეიმჩნევა. კოლექცია ახალი არ არის, თუმცა ჟურნალებმა ფოტოები რამდენიმე დღის წინ გაავრცელეს.

დემნა გვასალია აქტიურად არის ჩართული ქალთა მიმართ ძალადობის კამპანიაში და მისი მხარდაჭერისთვის სოლიდურ თანხებსაც რიცხავს:

– ბალენსიაგა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციულ კამპანიაშიც ჩაერთო. ნოემბერში ბალენსიაგას ტყავის ჩანთებიდან შემოსული თანხის ამ კამპანიის მხარდასაჭერად გადაირიცხება. ბალენსიაგამ წელს 250.000 ევრო და 2018 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციის გაყიდული ზედებიდან 10% მსოფლიოს სასურსათო პროგრამასაც გადაურიცხა.

დიზაინერი არც იმას მალავს, რომ ხშირად რასაც აკეთებს, ირონიულია, მაგრამ მათში დიზაინერის პირადი ისტორიაც დევს:

– ბევრი რამ, რასაც ვაკეთებ, ირონიულია, მაგრამ პირადი ისტორიაც დევს. იკეას ჩანთის ძვირადღირებულ პროდუქტად გადაკეთება ირონიაა, თუმცა ჩემი ისტორიის ნაწილია. 4 წელი უნივერსიტეტში იკეას ჩანთით დავდიოდი 2 მთავარი მიზეზის გამო, დიდი და იაფი იყო.

რაც შეეხება მოდელებს, რომლებიც დემნას კოლექციებს ირგებენ, ახალ სახეებს ბალენსიაგას წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში ეძებენ:

– ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებიც სახეებს მსოფლიოს გარშემო ეძებენ. ვიყავით მექსიკაში, იაპონიაში, ჩინეთში, რა თქმა უნდა, ევროპასა და ამერიკაში, რომ ქასტი შეგვერჩია. ქუჩის ქასტინგი, პერსონაჟების ქასტინგი, კინო ქასტინგი. მოდელებს და „რეალურ“ ადამიანებს აქამდეც ვურევდით, მაგრამ ამ სეზონზე უფრო შორს წავედით და ავიყვანეთ ადამიანი, რომელიც ჰოლივუდის ქასტინგ მენეჯერია. რა თქმა უნდა, ყველა მსახიობი არ ყოფილა, მაგრამ შოუზე გამოსულ ყველა ადამიანს აქვს თავისი საქმე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მათგანს ჰქონდეს თავისი საქმე და ტანსაცმელს ირგებდეს თავისებურად. როცა ელიზა შევარჩიეთ და მორგებაზე მოვიდა, მან მითხრა, რომ კაბა არასდროს სცმია. ის ნიუ იორკიდან არის და ტატუებს აკეთებს. როცა კოსტიუმი ჩავაცვით და სათვალე გავუკეთეთ, ვკითხე, რას ფიქრობდა. მან მიპასუხა: „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ფორბსის სიაში მოვხვდი“. ვუალაა! ზუსტი პასუხი იყო!

ბალენსიაგას შემოქმედებითი ხელმძღვანელის თანამდებობაზე დემნა გვასალიას დანიშვნასთან დაკავშირებით ბალენსიაგას გენერალური დირექტორი სედრიქ შაღბი აცხადებს, რომ ქართველი დიზაინერის ამ თანამდებობაზე დანიშვნა დიდი რისკი იყო:

– გვასალიას შემოქმედებით ხელმძღვანელად დანიშვნა ძალიან დიდი რისკი იყო. ვხვდებოდით, რომ ძალიან დიდ რისკზე მივდიოდით, მაგრამ გავრისკეთ და მოვიგეთ. მოდაში თამაში 2015 წელს შეიცვალა. ჩვენ შევცვალეთ, როცა დემნა დავნიშნეთ.

ბიბი კვაჭაძე: „გინებით არ შენდება ქვეყანა!“

მუსიკოსი ბიბი კვაჭაძე წლებია, ამერიკაში ცხოვრობს და იქიდან გულშემატკივრობს თავის ქვეყანას. ხელოვანი გულდაწყვეტილია, რომ საქართველოში საქმის კეთება არავის უნდა, გინებაში კი ქართველებს ბადალი არ გვყავს.

ბიბი კვაჭაძე:

– როცა დრო მაქვს, იუთუბზე საქართველოსთან დაკავშირებულ ახალ ამბებს ვადევნებ თვალს... მინდა, რომ ინფორმირებული ვიყო, რა ხდება ჩვენთან.

გააფთრებულ კომენტარებს როცა ვკითხულობ, ვხვდები, რომ ასე უკან მივდივართ, რადგან უმეტესობა დედის გინებაა და საქმეზე არავინ კი არა, ვერავინ საუბრობს, რადგან არ აქვთ ცოდნა და კულტურა...

იცით, რამდენი რამ მაღიზიანებს პოლიტიკაში? რომელშიც ცუდად ვერკვევი.

დარწმუნებული ვარ, იდეალური მთავრობა არ არსებობდა და არც იარსებებს... შევეგუოთ ამას.

პოლიტიკოსებზე საუბარი რომ დავიწყო, მერე ნახეთ თქვენ დედის გინება! მაგრამ გინებით არ შენდება ქვეყანა. ქვეყანას აშენებს უდიდესი მოთმინების მქონე ერი, კეთილი, განათლებული, პატრიოტი, სუფთა რწმენის, ქვეყნის ინტერესების ერთგული და თავმოყვარე ერი... და არა მუდამ გაღიზიანებული და ცოფმორეული აუდიტორია, რომლებსაც კლავიშებს მიღმა ექსპერტებად წარმოუდგენიათ თავი...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალი შეყვარებულის შესაშინებლად მატარებელს ჩაუხტა

ჩინეთის ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ნანკინში ქალი რკინიგზის ბაქნიდან რელსებზე მომავალ მატარებელს ჩაუხტა, რათა ამით თავისი მეგობარი მამაკაცი შეეშინებინა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც წყვილი სადგურში მატარებლის მოსვლას ელოდებოდა. მამაკაცთან კამათის შემდეგ ქალი მოულოდნელად გაქანდა და რელსებზე გადახტა. მამაკაცი მას უკან მიჰყვა, ხოლო რკინიგზის სადგურის თანამშრომლები შეეცადნენ, ჟესტების დახმარებით გაეფრთხილებინათ მატარებლის მემანქანე მომხდარის შესახებ.

ქალის გადარჩენა მოხერხდა, თუმცა მატარებლის გამგზავრება შეფერხდა.

– მე, უბრალოდ, გახუმრება მსურდა, – განმარტა ქალმა, – როგორც კი გადავხტი, ვიღაცამ უკანვე ამომათრია. საშინლად შევშინდი, როდესაც მივიხედე და დავინახე, თუ როგორ ჩაიარა ჩემს ფეხებთან მატარებელმა.

მას ამ საქციელისთვის ჯარიმის სახით 200 იუანის გადახდა დაეკისრა.

კალეიდოსკოპი

ინდოელი კობრასთან სურათის გადაღებას ემსხვერპლა

ინდოეთში მამაკაცი შეეცადა, მხრებზე მორგებულ კობრასთან ერთად ეფექტური კადრები გადაეღო და შედეგად მის ნაკბენს ემსხვერპლა.

ინციდენტი ანდხრა-პრადეშის შტატის სოფელ სოლურპეტაში მოხდა. 24 წლის ჯაგადიში 50 წლის გველების შემლოცველ გურუნადჰამ რამიშს ეწვია და მის კობრასთან სურათის გადაღება გადაწყვიტა. მომხდარს ვიდეოზე მისი მეგობარი იღებდა.

ვიდეორგოლის კადრებში ჩანს, რომ გველების შემლოცველი ჯაგადიშს ქვეწარმავალს გადასცემს, რომელიც მას მხრებზე შემოიხვევს, ამ დროს მისი თავი ხელში უჭირავს. ინდოელმა მეგობარს სთხოვა, მისთვის სურათი გადაეღო, როდესაც მას კობრამ ხელზე უკბინა. თვითმხილველებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მისი გარდაცვალება დააფიქსირეს.

გველების შემლოცველი იმ წამსვე გაეცალა იქაურობას. ადგილობრივების მტკიცებით, ის კლიენტებს არწმუნებდა, რომ მას შხამის საწინააღმდეგო წამალი ჰქონდა.

პოლიციელებმა განაცხადეს, რომ გველების შემლოცველმა რამდენიმე კვირის წინ კობრას ეშვები ამოაძრო და შხამი გამოწოვა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში გველმა ისევ გამოიმუშავა შხამი. რამიშის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

მალაიზიაში უზარმაზარი დაიჭირეს ნიანგი, რომელიც მეთევზეებს აშინებდა

მალაიზიაში ოთხმეტრიანი ნიანგი დაიჭირეს, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მეთევზეებს აშინებდა და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა.

ველური ბუნებისა და ეროვნული პარკების დეპარტამენტის თანამშრომლებს დაახლოებით 30 წუთი დასჭირდათ იმისთვის, რომ რეპტილია დაემორჩილებინათ. მათ ნიანგს პირი და სხეული თოკებით შეუკრეს, შემდეგ კი ნაპირზე ამოათრიეს. მისმა წონამ დაახლოებით 100 კილოგრამი შეადგინა.

მტაცებელი ცხოველი მდინარე ბერნამზე აგებული კაშხალის რაიონში დაახლოებით სამი კვირის წინ გამოჩნდა. ადგილობრივი მეთევზეები შიშობდნენ, რომ რეპტილია შესაძლოა მათ თავს დასხმოდა. ამავე დროს, სხვები სპეციალურად მოდიოდნენ მდინარეზე უზარმაზარი რეპტილიის სანახავად.

– ეს კაშხალი თევზაობის მოყვარულთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს თევზების მრავალრიცხოვანი სახეობის არსებობის გამო. ახლა უკვე ნიანგი დაჭერილია და ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, თავისუფლად ამოვისუნთქეთ, – განაცხადა 59 წლის მეთევზე შაჰარინ სამსუდინმა, რომელმაც იქვე აღნიშნა, რომ მისი დაჭერა არც ისე რთული აღმოჩნდა.

უნიტაზში ჩამალულმა პითონმა მამაკაცს უკბინა

ტაილანდელ მამაკაცს თავს ორმეტრიანი პითონი დაესხა, რომელიც ოფისის ტუალეტში იყო დამალული.

45 წლის ტერდსაკ კაიუპანგპანმა ქვეწარმავალი ვერ შენიშნა და უნიტაზზე დაჯდა. ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ მან წამოდგომა ცადა, მაგრამ იგრძნო, რომ მის სასქესო ორგანოს რაღაც კბილებით იყო ჩაფრენილი. მამაკაცი მაშინვე მიხვდა, რომ საქმე გველთან ჰქონდა. მან ქვეწარმავალს ხელი თავში სტაცა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოუჭირა და თავიდან მოიშორა.

პითონის კბილებმა მამაკაცის ორგანოზე ოთხი სისხლმდინარე იარა დატოვა. მამაკაცმა მეზობლის დახმარებით საავადმყოფომდე მიაღწია, სადაც მას 15 ნაკერი დაადეს. იმ დროს კი ქვეწარმავლის დასაჭერად ადგილზე ცხოველთა

კონტროლის სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ. მათ დაახლოებით 30 წუთი დასჭირდათ, რათა უნიტაზიდან პითონი ამოეყვანათ.

აღსანიშნავია, რომ ამ ინციდენტამდე ორი თვით ადრე გველი სხვა ტუალეტში შენიშნეს, რომელიც იმავე ოფისშია განთავსებული. თანამშრომლებმა მისი დაჭერა ვერ შეძლეს და მას შემდეგ იმ ტუალეტში აღარავინ შესულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6727

ევრო — 3.0268

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4240

100 რუსული რუბლი — 4.0447

ამინდის პროგნოზი 19 ნოემბრისთვის



პენსიონერი, რომელიც 25 წელი ლატარიის ბილეთებს ყიდულობდა, მილიონერი გახდა

ამერიკის ქალაქ ნიუ იორკის მანჰეტენის მცხოვრები ამ ქალაქის ლატარიის გათამაშების ისტორიაში უმსხვილესი მოგების მფლობელი გახდა.

67 წლის რობერტ ბეილი ყოველ კვირას ყიდულობდა ლატარიის ბილეთს და მასში მეოთხედი საუკუნის წინ ნათესავის მიერ ნაკარნახევ რიცხვებს 8, 12, 13, 19, 27 და 4-ს წერდა. ამ კომბინაციის წყალობით მას ადრე უკვე ჰქონდა მოგებული 30 ათასი დოლარი, ამჯერად კი მისმა მოგებამ 343,9 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამერიკული ლატარიის გამარჯვებულებს შეუძლიათ, მთელი მოგებული თანხა ან ნაწილ-ნაწილ რამდენიმე წლის განმავლობაში მიიღონ, ან მოგების ნაწილზე უარი თქვან და დარჩენილი თანხა მაშინვე მიიღონ. ბეილიმ მეორე ვარიანტი აირჩია. გადასახადების გადახდის შემდეგ მას 125,4 მილიონი დოლარი ერგო.

პენსიონერი თავისი დედისთვის მიწის ნაკვეთიანი სახლის ყიდვას, დანარჩენი თანხის ინვესტირებასა და ტურისტულ ბიზნესში ჩართვას აპირებს.

ქალმა ონლაინვაჭრობის გამო ოპერაციის გადადება ითხოვა

ჩინეთში პაციენტმა ქალმა ექიმს დაგეგმილი ბრმა ნაწლავის ოპერაციის გადადება სთხოვა, რათა წლის დიდი ონლაინვაჭრობა არ გამოეტოვებინა.

ინციდენტი ჩუეცხიანის პროვინციაში მოხდა. მარტოხელების დღის წინა დღე ცნობილია ყველაზე დიდი ფასდაკლებით. ექიმმა სუნმა, რომელიც პროვინციის ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობს, აღნიშნულ ისტორიაზე ინფორმაცია სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე განათავსა.

მისი თქმით, 30 წლის ქალი საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს. მას ბრმა ნაწლავის მწვავე შეტევა დაუდგინდა. ექიმმა ქალი ოპერაციის აუცილებლობის შესახებ გააფრთხილა, რაზეც მან თვალცრემლიანმა სთხოვა, რომ ოპერაცია ერთი დღით გადაედო.

ექიმი ამ თხოვნაზე დათანხმდა, ვინაიდან მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, ხოლო ტკივილი მოხსნა წამლებითაც იყო შესაძლებელი. ამის მიუხედავად, ქალი რამდენჯერმე დაინტერესდა, გაუარესდებოდა თუ არა მისი მდგომარეობა. როდესაც ექიმმა ის დაარწმუნა, რომ შიშის მიზეზი არ არსებობდა, ქალმა შვებით ამოისუნთქა.

პატარძალმა მოღალატე საქმრო საკურთხეველთან ამხილა

ავსტრალიაში პატარძალმა თავისი საქმრო საქორწინო ცერემონიის დროს სტუმრების თვალწინ ღალატში ამხილა. მან ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას საკუთარი ისტორია ინკოგნიტოდ უამბო.

გოგონამ, რომელმაც სახელად პირობითად კეისი დაირქვა, საკუთარი საქმროს ღალატის შესახებ ქორწილის წინადღეს შეიტყო. ის დაქალებთან ერთად იჯდა და შამპანურს სვამდა, როდესაც ტელეფონში უცნობი ნომრიდან შეტყობინებები მიუვიდა.

მათში მისი საქმროს უცნობ გოგონასთან ერთად გადაღებული ფოტოსურათები იყო. ზოგიერთი ფოტო რამდენიმე თვის წინ იყო გადაღებული, ხოლო ზოგიერთი – სულ რამდენიმე დღის წინ. ასევე ანონიმმა გოგონას მისი საქმროს იმავე გოგონასთან მიმოწერის სკრინშოტები გამოუგზავნა, რომელშიც ის მას ერთად დროის გატარებას სთავაზობდა და მას მხურვალე სხეულის მქონე გოგონას ეძახდა. ყველა შეტყობინება მთავრდებოდა წინადადებით: „მე მას ცოლად არ გავყვებოდი. და შენ?“

კეისი ატირდა და შეტყობინებები მეგობრებს აჩვენა. მათ, თავის მხრივ, ურჩიეს, რომ საქმროსთვის დაერეკა და ქორწილი გაეუქმებინა, მაგრამ გოგონამ გადაწყვიტა, სხვაგვარად მოქცეულიყო და საქმროზე შური ეძია.

– საკურთხევლისკენ მიმავალ გზაზე მუხლები მეკეცებოდა, საქორწინო კაბა კი სამასკარადო კოსტიუმად მეჩვენებოდა. ჩემი სახის დანახვაზე ის მიხვდა, რომ რაღაც ისე არ იყო, მაგრამ არ იცოდა, თუ რა ელოდა, – ყვება კეისი.

საკურთხეველთან მისულმა, მან ხმამაღლა გამოაცხადა, რომ ქორწილი არ იქნებოდა, ყვავილების თაიგული დააგდო, ტელეფონი ამოიღო და ხმამაღლა წაიკითხა საქმროს საყვარელთან მიმოწერა.

ამის შემდეგ საქმრო თავის მეჯვარესთან ერთად ეკლესიიდან გაიქცა, ატირებულმა კეისიმ კი სტუმრებს გამოუცხადა, რომ ზეიმი არ გაუქმებულა, უბრალოდ, მას ქორწილი აღარ ერქმეოდა. იქ მყოფებმა მას ტაში დაუკრეს და „ჯოჯოხეთურ წვეულებაზე“ წავიდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– როგორც ჩანს, საკუთარი თავი ძალიან გიყვარს.

– რა თქმა უნდა! აბა, ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს სხვას როგორ დავავალებ!

●●●

კაფეში კაცი ქალს ეკითხება:

– შეიძლება თქვენთვის ყავა, ჩაი ან კოქტეილი შევუკვეთო?

– ჯერ ერთმანეთი არც გაგვიცვნია და თქვენი გაურკვევლობით უკვე მაცოფებთ...

●●●

ორი მეგობარი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მოდი, დასასვენებლად ზღვაზე წავიდეთ. წავიყვანოთ ცოლები და წავიდეთ. თუ შენ უფრო უკეთესი წინადადება გაქვს?

– რა თქმა უნდა, მაქვს! ცოლების გარეშე წავიდეთ.

●●●

დედა ქალიშვილს არიგებს:

– შვილო, დაიმახსოვრე, ქმარი ჭკუით უნდა აირჩიო... აი, შეხედე მამაშენს, ყველაფერი შეუძლია, „კრანი“ გაფუჭდება, აკეთებს, უთო გაფუჭდება – იმასაც აკეთებს, ავეჯი გატყდება და იმასაც აკეთებს, აბა, მანქანის გაკეთებაც კი ეხერხება... ჰოდა, იცოდე, თუ ასეთ კაცს გაჰყვები ცოლად, ახალი არასდროს არაფერი გეღირსება.

●●●

ქორწილში მამაკაცის გვერდით მჯდომი ქალი ბავშვს ეუბნება:

– მჭადსა და ყველს რომ მიეძალე, მაი სახლშიც ქე გაქვს, სხვა რამე ჭამე, სხვა რამე.

მამაკაცმა ვეღარ მოითმინა და ქალს ეუბნება:

– აცალე, ქალო, რაც იცნო მაი ბაღანემ, იმას ჭამს.

●●●

ბანკში შესული მამაკაცი აღმოაჩენს, რომ საბუთში მის გვარში ერთი ასოა გამოტოვებული. შეწუხებული ოპერატორი გოგონა უფროსს ურეკავს და ეკითხება:

– ჩვენი კლიენტი მამაკაცია მოსული, ასო აქვს ამოგდებული და მივცე?

– თუ უკვე ამოღებული აქვს, მიეცი, აბა რა უნდა ქნა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號: HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

უსახლკაროსთვის ფულის შემგროვებელი თაღლითები თავად უსახლკარონი აღმოჩნდნენ

ამერიკელი წყვილი და უსახლკარო, რომლისთვისაც ისინი ფულს აგროვებდნენ, გარიგებასა და თაღლითობაში არიან ეჭვმიტანილნი.

კეიტლინ მაკლიური და მარკ დ'ამიკო, რომლებმაც სპეციალური ვებგვერდის დახმარებით 403 ათასი დოლარი შეაგროვეს, დააკავეს და შემდეგ გაუშვეს. უსახლკარო ვეტერანი ჯონი ბობიტი, რომლის დასახმარებლადაც თითქოსდა გროვდებოდა ფული, ასევე დაპატიმრებულია და პატიმრობაში რჩება.

მაკლიური ამტკიცებდა, რომ ბობიტი 2017 წლის ნოემბერში გაიცნო, როდესაც მისი მანქანა ავტომაგისტრალის მახლობლად გზაზე ჩაქრა. მისი თქმით, იქვე ახლოს მყოფმა ბობიტმა, რომელიც მათხოვრობდა, თავისი უკანასკნელი 20 დოლარი გაიღო მისთვის ბენზინის შესაძენად. ამ სიკეთისთვის მან სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა და მარკ დ'ამიკოსთან ერთად მის დასახმარებლად ინტერნეტში კრაუდფანდინგური კამპანია დაიწყო.

– მთელი კამპანია სიცრუეზე იყო დამყარებული, – განაცხადა ბერლინგტონის ოლქის პროკურორმა სკოტ კოფინმა, – თანხის შეგროვებიდან დაახლოებით ერთ საათში მაკლიურმა თავის ნაცნობს გაუგზავნა შეტყობინება, რომელშიც აღიარა, რომ ბობიტის დახმარება თავიდან ბოლომდე გამოგონილი იყო. მას არ გასთავებია ბენზინი ავტომაგისტრალთან და მას მის დასახმარებლად 20 დოლარი არ დაუხარჯავს. სინამდვილეში სამივემ მოილაპარაკა, რომ მათ ისეთი გულის ამაჩუყებელი ისტორია გაევრცელებინათ, რომელიც ხალხს მათთვის ფულის შეწირვის გადაწყვეტილებას მიაღებინებდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ისინი, სულ მცირე, ერთი თვით ადრე იცნობდნენ ერთმანეთს, სანამ კრაუდფანდინგურ კამპანიას დაიწყებდნენ. კეიტლინ მაკლიურმა და მარკ დ'ამიკომ უსახლკარო ერთ-ერთ კაზინოში მორიგი სტუმრობის დროს გაიცნეს. შეგროვებული თანხა მათ რამდენიმე თვეში ლას-ვეგასში საახალწლო ვიზიტის დროს ბმვ-ს მარკის ავტომობილისა და კიდევ სხვადასხვა ნივთის შეძენაში დახარჯეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი



თარაზულად: 6. შტატი აშშ-ში; 7. მოტივი; 8. ჰავა; 9. მაგარნაჭუჭიანი ხის ნაყოფი; 13. ნივთიერების რაოდენობა სხეულში; 14. პანამის ფულის ერთეული; 18. ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 19. ბანქო; 21. სითხის საზომი ერთეული; 22. პატიმრის საკანი; 23. ძლიერი რადიაქტიური მინერალი; 24. მრავალწახნაგა ფორმის მყარი სხეული.

შვეულად: 1. ჩიტის დასაჭერი მახე; 2. ლანდი; 3. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი; 4. დიდი წვეულება; 5. ჭკუასუსტობა; 10. არამტკიცე, მერყევი; 11. ფრანგ რევოლუციონერთა სიმღერა; 12. ქიმიური ელემენტი; 15. სისხლის სამართლის დანაშაული; 16. მუსიკალური გამის მეხუთე საფეხური; 17. რელიეფური საბეჭდი ფორმა; 20. ირანის მზის, სინათლის ღმერთი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ